

ჩვენი მხედრობა




გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი





7 აგვისტო 2009 №16(94)

1516
2009



ჯორჯ ორუელის ინგლისი
მორის დრიუონის ნოველა
უილიამ ბატლერ იეიტსის ლექსები
ირანის დედოფლის მოგონებებიდან
ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსები
ნატა ვარადა გურამ მეგრელიშვილზე
სანდრო ახმეტელი და სიმონ ჩიქოვანი
იოსებ ჭუმბურიძე მიხეილ ჯავახიშვილზე
რეზო ჭეიშვილისა და ემზარ კვიციანიშვილის სცენარი

წიგნის თარო





პარალელები	2	იოსებ ჭუმბურიძე დიდი კაცის „პატარა ფიქრები“ ანუ ლელთ ღუნია და „ერთი ბანათელაბული კოლონელი“
ბაიზინაურება	3	ლაშა გიორგაძე დებადების დღე — ესპანეთში (ერნესტ პეინიგუეი)
მსარს-ინტერვიუ	5	ნინო ნადირაძე სინარულის ჩუქავაჰ საქმიანობა (მოამზადა ნატა ვარადაძე)
დრამატურგია	7	რეზო ჭეიშვილი, ვეზარ კვიციანილი სამინი (მხატვრული ფილმი სამ დროდ და ხუთ გადასვლად)
კულტურები	16	იანესტ პეინიგუეი — საჯამთა აბანტი?
აიუზი	17	ნუციკო დეკანოზიშვილი მრედი დუ სხვა ლქსეზი
მსოფლია	20	ჯორჯ ორუელი ინგლისი, შინი ინგლისი
ბაიზინაურება	33	თამარ ლონლაძე პოეზიის კამპაბ წვეთიანი (ნოდარ ადგიშვილის ლექსების გამო)
მრეწვათა სკოარი	34	ირანის შანისა და დედოფლის ვიზიტი საჯამთა კავშირი (დედოფალ სორაიას მოგონებებიდან)
რეორბატი	36	ეკა ბუჯიაშვილი არსებობს ასათი ანდარიცი (იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენიებლად)
კულტურები	37	ბორსენს სამეომბოში დებარუნებას უპირება
თათრი ლაბაი	38	გუბა მერელიძე კოვლიტი სანდრო ახმეტაღსა და სიმონ ჩიქოვანს შორის
დებამიცი	41	ლორენს ბლოკი წაშრპილი სკვიდინისა
რეორბატი	46	ზურაბ ლავრელაშვილი არც დანარულებული, არც სრულყოფილი... („დავოს ზინენის“ კომპოზიციისათვის)
კრიტიკა	47	ნატა ვარადა აბამიანის სიყვარული თუ აბამიანისმცოდნეობა? (გურამ მერელიშვილის მოთხრობები)
რეორბატი	50	თათია ჯგუშია მუწარბინს სრულში
დამწერარი სხილვა	52	სერგეი ვესენინი სპარსული მითივები
	53	ვაჟა ზორნაული ლქსაღ ძველი კაცის ცხოვრება (შაბურა არაბული)
აიუზის პარიდებანი	56	უილიამ ბატლერ იეიტსი მორად მისვლა და სხვა ლქსეზი
მსოფლია წეველა	59	მორის დროუნი ბლანდი ალი
საორბი	60	გივი გამრეკელი ჟადრპინს ტრფინალს რომ ექვინან (შტეფან ცვაიგი, ერის მარია რემარკი, ვლადიმირ ნაბოკოვი, ფორტ სიმენონი, ჩარლზ პერსი სნოუ)
მრეწვა	63	ანდრიუატი

ორკვირული ჟურნალი
 დამფუძნებელი „ლიონი“
 მისამართი: თბილისი,
 მუხომანაშვილის №41
 რედაქცია - (995 32) 96-20-62
 რეკლამა - (995 93) 65-93-68
 გაერცელება - (995 77) 11-24-30
 ფაქსი: (995 32) 96-20-62
 E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე
 პარზის რედაქტორი - ივანე აიხრანაშვილი
 პოეზიის რედაქტორი - მაკა ჯოხაძე
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი - თამაზ ნატროშვილი
 მხატვრული რედაქტორი - კარლო ფაჩულია დიზანიერი - მალბახ იაშვილი
 სტილისტი-კორექტორი - ნინო დეკანოიძე დაკაბაღუნება - თენგიზ რობიაშვილი
 ოპერატორი - თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი - ეკა ბუჯიაშვილი
 გაერცელების სამსახური - ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მეტეხი და მამადავითი, მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფი
 „ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოეკა 21 აგვისტოს

საქართველოს
 პარლამენტის
 იტრეწული
 აბგლინი



იოსებ ჭუმბურიძე

დიდი კაცის „პატარა ფიქრები“

აქვს

ღალთ ღუნია და „ერთი განათლებული პოლონელი“

1906 წლის 4 ივნისს მიხეილ ჯავახიშვილი გაზეთ „ივერიაში“ (14) გამოაქვეყნებს წერილს, ასეთი სათაურით: „პატარა კაცის პატარა ფიქრები“.

ერთი კვირის შემდეგ სათაური განახევრდება და ყოველკვირეულ რუბრიკად იქცევა. ორთქვენახევრის მანძილზე, „ივერიაში“ „პატარა ფიქრები“ თერთმეტჯერ დაიბეჭდება. მოგვიანებით, მიხეილ ჯავახიშვილი მეთორმეტესად დანერს და, რადგან იმ დროისათვის „ივერია“ უკვე დახურული იქნება, გაზეთ „ისარში“ (132, 1907 წ.) გამოაქვეყნებს.



მხოლოდ ერთხელ გამოაქვეყნდა ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი: უნდა ვიფიქროთ, რომ რაკი რუბრიკა „ივერიაში“ იშვიათად გაზეთისთვის ორგანიზებული იქნა. მართალია, ილიას „ივერია“ ისიც აღარ იყო, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილი, თავისი „პატარა ფიქრებით“, სწორედ ილიასეულ სტილს და სულისკეთებას აღადგენდა.

ეს „პატარა ფიქრები“, ჟანრობრივად, მიმოიხილება შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული „პატარა ფიქრების“ ნაცულად, სწორედ „შინაურ მიმოხილვას“ დაარქმევს — რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძის ანალოგიით.

ერთი კვირის შემდეგ, ისევ „პატარა ფიქრებს“ დაუბრუნდება; 1915 წელს კი (მისი-ავტისგან), გაზეთ „საქართველოში“ „მიმოხილვებს“ დაბეჭდვებს.

„მიმოხილვებს“ და არა „შინაურ მიმოხილვებს“ აქ ილიას მიმართ დიდი სიყვარულიც მოჩანს და მისი სახელის წინაშე ბუნებრივი კრძალვაც.

მწიღი წარმოსადგენი არ არის, რა აზრის შეიძლება ყოფილიყო ილიაზე 25-26 წლის მიხეილ ჯავახიშვილი. ამის შესატყობად მარტო ის სიტყვებიც იკმარება, ილიას სახარტომო მკვლელობამ რომ დაანერხა: „მოჰკლეს პოეტმა, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავის კისრით ატარებდა ქართულ ლიტერატურას, რომელმაც შექმნა ქართული ენა, ქართული პრესა, ქართული მწერლობა“.

„პატარა ფიქრები“ ილიას „შინაურ მიმოხილვებს“ მხოლოდ ჟანრობრივად არ ენათესავება. უფრო მთავარი პუნ-

ლიციტური სიმძაფრე, ერის საჭირობოტო საკითხების ღრმა და პირინციული განსჯაა. ამ თვისებებით, „პატარა ფიქრები“, ზოგადად, ილიას პუბლიცისტიკასთან ღრმა მინაგან კავშირს აქვლენს.

მის მიერ გამოყენებული მხატვრული თუ პუბლიცისტური ხერხებიც, ზოგჯერ, ილიასეულს მგავს.

ასეთია, მაგალითად, ერთ-ერთ „პატარა ფიქრებში“ გამოყენებული ხერხი, როცა ერთხელ სატკიცარზე ავტორი თვითონ კი არ საუბრობს, სხვას აღაპარაკებს — „ერთ განათლებულ, განვითარებულ და ცოდნით აღჭურვილ პოლონელს“, რომელიც თბილისში ჩამოსვლა, მოკლე ხანში ქართული ენა იმდენად კარგად შეუსწავლია, რომ „გაზეთებს კითხულობს, მოიარა ნახევარი საქართველო, სომხეთი, დაათვალიერა ჩვენი დანეტებულიები, მუხუბები, თეატრები, ციხე-მონასტრები, გამოცნაწარა ჩვენს მარტულ ბელადებს...“

ორიოდე თვის წინათ გავიცანიო, — გვეუბნება ავტორი და მის მუხედულეებს გადმოვცემს.

მაინც რას უებნება ქართველ მწერალს ეს „ერთი განათლებული პოლონელი“? — მტისმეტად მწარე სიმართლეს:

„თქვენ, როგორც ვრი, მტკად სახიფათო მდგომარეობაში ხართ ჩავარდნილიო. უნინ თქვენ საკუთარი კულტურა გქონიათ, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თქვენი კულტურა დაამარცხა ცარიტული რუსეთიდან შემოსულმა კულტურამ, რომელმაც სასუბით დაგიმობა, დაგიმორჩალათ და ძირაწ-ფესვიანად გადაგაკეთათ... საკუთარი კულტურის უქონლობა პირველი წინაწია ერის გადაშენების...“

საგულსხმია, რომ პოლონელი ამ უბედურებს, უპირველესად, თვითონ ქართველების ბედოვლათობას აზრალებს:

„ერთი თხოვრებით ენათა თანასწორობას, ან კრებაზე და თეატრებში, სადაც სრული უფლება გაქვთ, ქართულად ილაპარაკეთ, მხოლოდ რუსულ ენას ხმარობთ“...

პოლონელი განაგრძობს:

„თქვენებურ კაზეთებს, რომ დავარქვა ქართულ ენაზე დაწერილი რუსული გაზეთები, ეს მათი საუკეთესო დასასათება იქნება... ქართველების რადიკალობის მიზეზი მათი კულტურა კი არა ყოფილა, არამედ უტულტურაბა... ისეთი ერთხელეანი გატაცება სოციალისტურ იდეებით, როგორც ქართველებს გამოიჩინეს... მეოცე საუკუნის დასაწყისში ეს მოვლენა მხოლოდ საქართველოს აზრამალტ მდგომარეობას ამტკიცებს.“

თამამად მეგვილითა ვთქვათ, რომ პოლონელის ეს მუხედულეები ისევე ეკუთვნის მიხეილ ჯავახიშვილს, როგორც ღლთ ღუნისა აზრები — ილია ჭავჭავაძეს.

წინმეტკლობა არა აქვს, მართლაც ასეთებობა თუ არა ასეთი პოლონელი. აქ საინტერესოა თვითონ ილიასეული პუბლიცისტიური ხერხის გამოყენება.

„მართალია თუ არა ჩემი მოხვეე, მე მაგის გასინჯავაში შევალ“, — წერს ილია ჭავჭავაძე.

„მე პოლონელის აზრების ვარჩევას არ ვაპირობ“, — გვეუბნება მიხეილ ჯავახიშვილი.

ასეთი მსგავსება მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი; ის მხატვრული პროზაშიც კი ასევე ღირსეული მემკვიდრეა და პუბლიცისტიკაშიც...

ქვემოთხატვა



დაგადების დღე — ესპანეთში

იმ გაზაფხულზე თავს ჩინებულად გრძნობდა, ისე ჩინებულად, როგორც არასდროს — 1954 წელს აფრიკაში მომზადარი ავიაკატასტროფის შემდეგ. თარკმლები და ლევილი თითქმის აღარ ანუხებდა, სისხლის წნევა და სისხლოში ქოლესტერინის ოდენობა თითქმის ნორმამი იყო.

ჰემინგუეის ბოგრავის კარლოს მეიკერის სიტყვით, მისი ბალისი და ენთუზიაზმი გულანებულად ქაბუჯს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე სამოც წელს მიტანილ მამაკაცს. ჩანს, ისიც ეამებოდა, რომ ამ მრავალი თარიღის აღნიშვნა მოუწევდა სწორედ იმ ქვეყანაში, სადაც ლამის ნახევარი სიცოცხლე ექნებოდა გატარებული და სამშობლოზე არანაკლებ უყვარდა.

ერნესტ ჰემინგუეის სამი რომანის (თუკი „სახიფათო ზაფხულს“ მივათვლით), მოქმედება ვითარდება ესპანეთში. სიყვარული და ეჭვიანობა, თევზაობა და კორიდა, სასონარკოთა და ლხენა, ომი და სიკვდილი — აქ, ამ ძველ მინა-წყალზე უნახავთ და განუცდიათ მისთვის ძვირფას პერსონაჟებს. აქვე, სახელდობრ ჯვადარამას მიბეჭდილ დებადაცხუბულ ესპანელ პარტიზანებთან, მაისის თვის ბოლო კვირაში (შაბათ საღამოდან — სამშაბათ შუადღემდე) თავისი ცხოვრების უკანასკნელი წუთები, ტკბილიც და მწარეც, უკვამია ამერიკელ მოზალისეს რობერტ ჯორდანს, მწერლის საყვარელ გმირს, რომელსაც გულუხვად უწილდა თავისი ჩვევები და იდეები და, რაც მთავარია, უანგარო სიყვარული ესპანეთისა.

და აი, 1959 წლის ზაფხულში ესპანეთში კვლავ იხმო ჰემინგუელი.

ახლა უკვე ეცინებოდა გულში იმ შიშზეზე, ექვსი წლის წინათ რომ აუკეციატა. ზუმრობა საქმეა, თხუთმეტწლიანი იწულებითი უნახაობის შემდეგ უნდა ჩასულიყო იმ ქვეყანაში, რომელიც სამშობლოსაგეთ უყვარდა და რომელსაც განაგებდა მისთვის საძულელი დიქტატორი.

„სახიფათო ზაფხულს“ პირველდევ სტრიქონებიდან ჩანს მწერლის აფორიაქება:

„მეოცნაურებოდა გამგზავრება ესპანეთში. იმედიც კი არ ბეუტავდა გულში, რომ ოდესმე ისევ შემომებდნენ იმ ქვეყანაში, რომელიც, სამშობლოს შემდეგ, ამქვეყნად არსებულ ყველა ქვეყანაზე მეტად მიყვარს. თავადაც არ ნავიოდელი, ვიდრე ჩემს ესპანელ მეგობართაგან თუნდაც ერთი ჯერ კიდევ იჯდებოდა ციხეში“.

მაგრამ 1953 წლის გაზაფხულზეც, აფრიკაში სამოგზაურად რომ იმზადებოდა, გაურწმა ცდუნება, ახად ესპანეთში შეეელო. მოეთათბირა კუბაზე მყოფ თავის ნაც-

ნობ-მეგობრებს, ესპანეთის სამოქალაქო ომში რომ იბრძოდნენ, როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს, და ერთხმად დაასკვნეს, რომ ჰემინგუეის შეძლო ღირსეულად ჩასულიყო ესპანეთში, თავის ნათქვამ-ნაწერთაგან განუდგომლად, ოღონდ კრინტი არ უნდა დაეკრა პოლიტიკაზე.

„სახიფათო ზაფხულში“ დანერგულითაა აღწერილი მწერლის პირველი ნაბიჯები ესპანეთის მიწაზე:

წვიმდა. ცა იყო პირქუში. ძირს ჩამონოლილი ღრუბლები თვალთაგან შვარავდა მთებს.

სასახლვრო პოსტიც პირქუშად გამოიყურებოდა.

ჰემინგუემ წარადგინა თავისი და მუელლის პასპორტები. პოლიციის ინსპექტორი კარგბანას ბუეტიად ეცნობოდა ჰემინგუეის პასპორტის შინაარსს, მაგრამ პატრონს ზედაც არ უყურებდა. მწერალი დასძენს, ეს ჩვეულებრივი ესპანური წესია, ოღონდ ამის ცოდნა შეეებს ვერ მომგვრდება.

— თქვენ მწერალ ჰემინგუეის ნათესავი ხომ არ ბრძანდებით? — ჰკითხა ინსპექტორმა ამერიკელ სტუმარს, მაგრამ კვლავინგებურად ზედაც არ შეუხედავს.

— იმავე ოჯახიდან ვარ, — უპასუხა ჰემინგუემ.

ინსპექტორმა ხელახლა გადაფურცლა პასპორტი და გულდასმით დააკვირდა ფოტოსურათს.

— თქვენ ჰემინგუეი ბრძანდებით?

ამერიკელი მწერალი კადრის ოფიცერიტ გამოეცხმა, სამხედრო წესით მისცა საღამო და ესპანურ ენაზე წარმოთქვა: „გისმინთ და გემორჩილებით“.

ინსპექტორი ფეხზე წამოვდა, ხელი ჩამოართვა ჰემინგუეის და განუცხადა:

— თქენი ყველა წიგნი ნაკითხული მაქვს და ძალიან მომწონს. ახლავ ბუქედს დაგორტყამთ საბუთებზე და, თუკი საჭირო გახდება, საბაიოზეც შეგანეთი სიტყვის.

ვერ დაეუერებინა, რომ ასე კარვად დამთავრებოდა ყველაფერი. საბუთების ყოველ გასინჯვავც (კიდევ სამჯერ შემოშმწეს) ეცონა, ახლა კი დამაკაემენ და პანლურს ამომკრავნო.

მაგრამ პოლიციელნი (ერთიც, მეორეც, მესამეც) ყურადღებით და თავაზიანად ათვალირებდნენ პასპორტებს და ბოლოს, ხელს აიქნედნენ, შეგძლიათ ნაბრძანდეთო.

მომოხდა ჰემინგუეი, რომ აღარ შეუეუბდნენ თავის საყვარელ ქვეყანაში, სადაც გაეთხარათ სამარე ესპანეთის სამოქალაქო ომში დალუბულ ამერიკელ მოზალისეებს, რომელთაც 1939 წელს მიუძღვნა საგანგებო რევიემი:

„ჩვენი მკვდრები ცოცხლობენ ესპანელი გლეხების, ესპანელი შუშების, ყოველი კეთილი, უბრალო, პატროსანი ადამიანის გულგნსა და ხსენებაში, ვისაც სწამდა ესპანეთის ერესუბუღკა და იბრძოდა მისი გამარჯვებისათვის. და ვიდრე ჩვენი მკვდრები ცოცხლობენ ესპანეთის მიწაში, ისინი კი იცოცხლებენ კი, ვიდრე იცოცხლებს ეს მიწა, ვერანაირტყურის ტორანია ვერ დახსლევს ესპანეთს. ჯა-



ერნესტ ჰემინგუეი, 1959 წ.

ვარსაბიძეს
ერნესტს
ბიბლიოთეკა



შისტებს ძალუთ მოედონ მთელს მიწა-წყალს, გზა გაიკაფონ უტუბო ქვეყნებიდან შემოზღუდული ცეცხლითა და მახვილით, მათ ძალუთ ნინსულა მოლაღატეთა და ლაირთა დახმარებით. მათ ძალუთ დანაგრეონ ქალაქები და სოფლები, და სცადონ, რომ მონობის უღელ დადგან ხალხს. მაგრამ ვერც ერთ ხალხს ვერ დაიმონებ საშუალოდ. ესპანელი ხალხი კვლავ აღსდგა, როგორც არავითხუღ აღსდგარა ტირანიის წინააღმდეგ. მკვდრებს არა სჭირდებოდა აღსდგომა, ისინი ახლა მინის ნაწილი არიან და მინას კი ვერავენ დაიმონებს, რადგანაც მინა უკვდავი იგი გადაიტანს და უკან მოიტოვებს ყველა ჯურის ტირანიას. და მათ, ვინც ღირსეულად ჩაენა მინამ, - და არასოდეს არავენ ჩაწოდება მინამ იმათზე ღირსეულად, ვინც დაიღუპა ესპანეთში, - უკვე მოიხვეჭეს უკვადება".

ტყუარად როდ მომბოძა ჰემინგუეი. ზემოქმედურ რეკვიემსა და ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936-1939) აქტიურ მონაწილეობას რესპუბლიკის მხარეზე ვინ ჩივის, 1950 წელს გამოქვეყნებულ რომანში („მდინარის გადაღმა, ხეების ჩრდილქვეშ“) პირადი მუხარაცხუდა მიაყენა ესპანეთის მაშინდელ მხრძანებელსა და მამა-მარწინელს - გენერალ-სიმუს ფრანსისკო ფრანკოს (1892-1975). გახსოვთ?

ამ მამის პოლკოვნიკი რიჩარდ კანტუელი თავის ფიქრებში ელოლიავენა საყვარელ ქვეყნებს (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) - მართალია, ერისიანს სამივე დავკარგე, მაგრამ ორი მათგანი ხომ უკან დაეიბრუნეო. და მერე ხმას აღიმალღებს:

„და მისამსჯელ დავიბრუნებთ, გესმის ჩემი, შენა, სქელ-ტყუა გენერალი ფრანკო? სახადრო სკამზე რომ წამოსკუმბუღუბარ და, კარის ექმის ნებაროთი, მავრიტანული კავალერის ფრთხილქვეშ, მიწაურ იხებებ ნადირობო“.

ეაღურება კიდეც დასავლეთის მოკავშირეთა მიერ შეწყნარებულ თუ შეწყალებულ გენერალისმიუს: ჩვენ დავიბრუნებთ ესპანეთს და ბუნზოსადგურებთან ყველას თავდაყურა ჩამოგკიდებთო! (გამჭვირვალე მინიშნება იტალიელი დიქტატორის ბენიტო მუსოლინის აღსასრულზე).

თავს ხომ ვერ გაიმართლებდა, ამას მერ უდო ვაშობ, ამერიკელი პოლკოვნიკი ამბობსო! ფრანკოს კარზე იმდენად კი ესმოდითა დიქტატურა, რომ მომხედარიყვენ, თუ ეს ამბოვნებადა რიჩარდ კანტუელი, მთავარი გმირი აღნიშნული რომანისა და ალგა-ალგა - „აღმერ თეა“ ავტორისა.

რომელ დიქტატორს მოეწონებოდა ახვარა, მეტი რომ არა ვთქვათ, გამოდგომა?! მაგრამ ფრანკო, ჩანს, სრულფასოვანი დიქტატორი არა ყოფილა. ამასთან, ჭკუადაამჯდარ კაცად იცნობდნენ. მარტო ის რად ღირს, რომ მეორე მსოფლიო ომში არ ჩაუბამს თავისი ღარიბ-ღატაკი და სამოქალაქო ომით სისხლდაცლილი ქვეყანა (პოტუდავად, პიტლურის დაფინებული თოვინა-მოთოვინისა). პოდა, ფრანკომ არაფერი შეიმჩნია და დედის რძესავით შვიგო ჰემინგუესთვის მიღილა. ნუთუ დონ-კიხოტის სამშობლოში დიქტატორებაც კი რაინდული სული მოსდგამთ?

ვერავითარი ტრანებიც ვერ სძლევეც ესპანეთის, ამტკიცებდა 1939 წელს ჰემინგუეი. იფგა 1953 წელს და ამერიკელი მწერალი ხედავდა, რომ კიდევაც სძლიეს და ლამის თავის ჭკუაზე მოაკიდეს.

ჰემინგუეს რომანში „ვისთვის რეკს ზარი“ რობერტ ჯორდანი ასე ფიქრობს ესპანელებზე: „რა საოცარი ხალ-

ხია მთელს დუნიაზე არ არსებობს ხალხი, ამათზე უკეთესი და ამათზე უარესიც რომ იყოს; არ არსებობს ამათზე უფრო კეთილი და, იმადროულად, ამათზე უფრო სასტიკი ხალხი“.

რობერტ ჯორდანის პირით, რა თქმა უნდა, ამას გვაყენებს ჰემინგუეი და დასძენს: განა სადმე იშოვი სხვა ხალხს, რომლის ბელადები ამ ხალხის ნამდილი მტრები შეიძლება იყვნენო?

რობერტ ჯორდანისთვის ეს ქვეყანა არის სერვანტესის, კევედოს, ველასკესის, გოიას სამშობლო, სამშობლო იმაით, ვინც ამყენებს ესპანელი ხალხის დიდებულ წარსულს. მაგრამ ესპანელთა სხვა წარსულიც ახსენდება და მხარე ფიქრი იპყრობს: ეს რა ხალხია ეს რა ძალუთხელეზი არიან, დანყებული ოფითგან - კორტესი, შისარო, მეწენდეს და ავილა და დამთარებელი - პაბლო (არცთუ მომხიბლავი პერსონაჟი „ზარის“).

სამოქალაქო ომის საზარელი ქმედებანი (ორივე მხრიდან!) გახმადრა ბოდიც ესოდენ მკაცრი ვერღელქის გამო სატანად.

არავითარი სათვალე - არც ვარდისფერი და არც შავი აი, ასე განსჯიან საყვარელ ქვეყანას...

1959 წლის ზაფხულს ჰემინგუეი ატარებდა მდიდარი ამერიკელი ემიგრანტის ბილ (ნათას) დევისის მამულში, რომელსაც ერქვა „ლა კონსულა“ და მდებარეობდა ქ. მალაგას მახლობლად. ეს იყო წყნარი ადგილი საუკეთესო სამუშაო პირობებით, სადაც მწერალი ისვენებდა კორიდებს შორის ინტერვალებში.

აირჩიეს მწერალი ასე აღწერს „ლა კონსულას“:

„მოთახებული ვეებერთელა, ელვგანტურად გაშენებული ბალიურთი, მამულის შუაგულში, ლა კონსულა გახლავთ ფაქიზი შესახებაობის სექტებიანი პალატა, რომელიც ნაავგას უმცროსი დოფის სასახლეს. დაცულთა გარე და შიდა მართული ქიშკრებით... იატაკი და ბალუსტრადები, კიბის საფეხურები და გერმანის ზედაპირები, საბაზანი ოთახები და პორტიკები მთლიანად მარმარლოსია და საცურაო აუზიც მარმარლოთია განყოფილი“.

სწორედ აქ უნდა გამართულიყო გრანდიოზული წვეულება ჰემინგუეს დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად, რომელსაც თითქმის ორი თვეა ამზადებდა მისი მეოთხე მუვლად მერი ექმის.

შამპანური გამოინერა პარიზიდან, ჩინური კერძები - ლინდონიდან, ხიზილა - მისკოდიდან, თევზული - ისლანდიიდან, ძებვეული - გერმანიიდან, პოსტული - იტალიიდან. ფეიერვერკის სპეციალისტი დაქირავა ვალესიიდან; ფლამენკოს მოცეკვეენი - მალაგადან; მუსიკოსები, მზარეულები, ოფიციატები და ზარმენები - მადრიდიდან.

წვეულებისათვის აირჩიეს ვანიერი აივანი დევისის პალატის მეორე სათულზე.

ღმინი გაჩაღდა 21 ივლისის შუადღისას და გასტანა 22 ივლისის შუადღემდე.

ვის არ ნახავდით სტუმართა შორის! ინდოეთიდან ჩამოფრინდნენ ჯაიპურის და ქუჩ-გეპარის მაპარაფები თავის მაპარანებიურთ, ლინდონიდან - ესპანეთის ელჩი ბრატანეთში მიგულე პრიმო დე რივერა, ვამპეტონიდან - გენერალი ჩარლზ ლენჰემი, ზონიდან - ამ მელჩი დევიდ



ბრიუსი, მადრიდიდან - სხვადასხვა ჯურისა და რანგის წარმომადგენლები, პარიზიდან - ძველისძველი ძმაცაცები, ვენეციიდან - მომხიბლავი ადრინა ივანჩიჩი, პროტოტიპი პეინტერების რომანის („მდინარის გადაღმა...“) მთავარი პერსონაჟისა.

იყენებ კოლორიტული სტუმრებიც: ინგლისის ჩემპიონი გიტარის დაკვრაში და სახელგანთქმული ესპანელი მატადორი, ფაფორიტი პეინტერისა, ანტიონო ორდონესი (თავისი მუშაობისა და 30 მეგობრის თანხლებით).

იუბილარს მიაერთებს ახალთახალი „ბარატა ლანჩა“, მისივე იტალიური პოპოლარებით რომ შეიქმნათ.

პეინტერული ხალისიანად ცქცქავდა, ბათქა-ბუთქით ხსნიდა შამპანურს, მხიარულ სადღეგრძელოებს უძღვნიდა თავის სტუმრებს, ვარჯიშობდა თოფის სროლაში - ტყვიით ფერულს ჩამოსაყრელად სიგარიდან, პირში რომ ჰქონდათ გამართი ანტიონოს თუ ჭურბუქარის მამარაჯას.

დასასრულ, დეიდე ბრიუსმა წარმოთქვა უმრავლო და გულწრფელი სადღეგრძელო იუბილარისა.

ინციდენტს ვერ გადაურჩნენ. ფიფქურის დროს ერთი მუშუნა მოხვდა ენ. სამეფო პალმის კენურის და ცეცხლი გაუწია. ზოგიერთი სტუმრის მცდელობა - ამგვარლუცხენ სამოცუფტან კობეზე და ბალის სარწავი შლანგით შებრძოლებოდნენ ხანძარს, უნაყოფო აღმოჩნდა. გამობიძებს სახანძრო რაზმი მალაგადან. მუხანძრებმა ჩააქრეს ხანძარი

რი და ისინი დაუყოვნებლივ მიიპატიეს ლხინში. ანტიონო ორდონესმა, სტუმრების გასამხიარულებლად, მოიგო მუხანძრის მუხანადი და ლაბადა, მერე კი სახანძრო მანქანა, უწყვეტი სიგნალით, გააქან-გამოაქანა ბაღში.

პეინტერები ასე შეაჯამა თავისი მთავრები: „რამაც ყველაზე მეტად გამაზარა ამ წვეულებაზე, ისაა, რომ ჩემმა ძველმა მეგობრებმა არ დაიხარეს ჩამოსვლა ამისგორიდან“.

და გულისტკივილით დასძინა: ვაი რომ, ძველი მეგობრებიდან ამქვეყნად ცოტანილა დარჩენილანი.

...საკმაოდ ძვირი დაუფდა სამოცი წლის მამურად და ომებგადახდილ მწერალს თავისი მესამოცე დაბადების დღის ესოდენ ღამაზად აღნიშვნა.

თორკმელები აღფოთდნენ და აუჯანყდნენ პატრონს. პეინტერების საძილე ოთახი გაივსო ჭიქებითა და ბოთლებით, რომლებშიც ნაცვლად მისი საყვარელი ვისკისა, ლეონოზე მეთად რომ ტრანებოდა (თავს იმართლებდა: ლეონო სიაშოვებება, ვისკი - სანავიეო), ახლა შარდის სინჯებს დაედით ზინა.

სულ რაღაც ორი წელიდა რჩებოდა საკუთარი ხელით აღსრულებულ ალსანრულამდე.

ლანა გიორგაძე
ბორჯომი

პესკარე-ინტარვი

ენიო ნადირაძე

სისარულის ჩუქებას საქმიანობა

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?


— უკიდურესი გაჭირვება ალბათ ისაა, როდესაც დგება მომენტი, როცა იმედს კარგავ. ეს სამინულებია. ეს ნიშნავს მთლიანად, ყველა ასპექტის გაჭირვებას, სულისას და ზორცისასაც. ყოლისმომცველია ☹

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოში, საქართველოში, საქართველოში და საქართველოშიც. ეს ქვეყნები ძალიან მიყვარს.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— მგონი სხვადასხვანაირი ბედნიერებები არსებობს, გააჩნია ადამიანის შინაგანობას, რას მიიჩნევს ის თავის ბედნიერებად, უმაღლეს სიხარულად. შენი უმაღლესი ბედნიერება შეიძლება ერთ წამში იგრძნო ან ვერც იგრძნო და გაუშვა. მთავარია, დაინახო, რომ ამ წამს, ამ ადგილას, ამ გარემოში, ამ ტრანსპორტით, ამ განედზე, ამ წამს მესახებო ხარ ბედნიერი და მორჩა. თუმცა არის კონკრეტული მოვლენებიც, რასაც ზოგადად ბედნიერებას ვუნდობდ, შვილის გაჩენა, სულიერად ახლოს მყოფი



ადამიანის შენს გვერდით არსებობა და ასე შემდეგ.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— დომენიკო მიყვარს დორანაშვილის და ახლა უკვე დემნა გედევანიშვილი. თოლიაც პერსონაჟია და ჯონათან ლივინგსტონი ჩემი უსაყვარლესია. მგონი, ჯონათანომანია მჭირს.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ბეერია.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფეტვიანშვილი, გუდიაშვილი, სალვადორ დალი და ვან გოგი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ყანგელი, მოცარტი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— არ აქვს მნიშვნელობა ქალია თუ მამაკაცია, პირველი რიგში თავმდაბლობაა, რასაც „ვეფურები“. არ ვტივ, თვისება რამდენად შეიძლება ვუნდო, მაგრამ უინტე-

ლექტორ მამაკაცთან ურთიერთობას ჩემს თუთიყუშთან საუბარი მიჩვენია.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ასევე ქალშიც, თუმცა არის კიდევ რაღაც ისეთი ნიუანსობრივი თვისებები ქალში, რასაც სახელებს ვერ ვარქმევ და უბრალოდ, ისე შიზილაკს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომნიშნავი?

— გულწრფელობა. ჩემთვის გულწრფელობა ზუსტადაც რომ ადამიანური სათნოებაა (არადა ბოლო დროა იგი უკვე უზრდელობად მიიჩნევა ☹) თუმცა მე ასე, რა თქმა უნდა, არ ვთვლი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კითხვა, მუსიკის მოსმენა, თუმცა ადამიანების გახარება და სიხარულის ჩუქნებაც საქმიანობად უნდა ვთქვა, რადგან ვგიჟდები ამაზე. ადრენალინივითაა ჩემთვის ☺

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— სიმოწუნებით ვიქნებოდი ნინო ქათამაძე ☹ თუმცა, მაგლობა უფაღს, რაც, როგორც, მატომაც ვარ ვინც ვარ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ერთგულება, გულწრფელობა და ქველმოქმედება.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას, გულწრფელობას და თავგანწირვას.

— თქვენი მთავარი ნაკი?

— სიზარმაცე და ეგოიზმი.

— თქვენი ნარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ზემოთ თითქმის ვისაუბრე ბედნიერებაზე და აღარ გავიმეორებ, დავამატებ უფრო, რომ ბედნიერება არის კიდევ ის, რომ ხარ, ცოცხლობ და შანსი გაქვს, გახდე უკეთესი, ეს დიდი ბედნიერებაა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა, რომ არ ვყოფ... გავგიჟებოდი... თუმცა, მაღამც ვარ, ნერა რომ არ შემეძლოს, ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა (ჩემთვის), ასევე მიფიქრია სიმუწუნება და სიყურუხეც...

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ჭკვიანი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ნითელი, ნარინჯოსფერი და მწვანე (პეპ, მძლოლობა გამოვალნიე მაინც, შუქნიშნის ფერები შემომწერა ☹).

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს?

— გვირილა და იასამანიც, მაგრამ გვირილა ჩემი სულის ყვავილია. მასთან განსაკუთრებული, სათუთი, ფაქიზი დამოკიდებულება მაქვს, აი ისეთი, გვირილიე-ბისთვის რომ მოგკვებოდი... ისეთი... ისე კი, ყვავილები არ მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— თოლია და ბოლო დროს ფლამენგოები შემიყვარდა. უფრო მეტიც, თოლია მე ვარ.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— გამორჩეულად დოჩანაშვილი, დუმბაძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ტერენტი (ტერენტომანია მჭირს), ვალა, რატი ამბლბლბელი, ნინოინიე შოთა, სამკაულის ბიჭები, ნინო სადღობელკაშვილი, გრგოლ რობაქიძის პოეზია მიყვარს, თეკლე ბატონიშვილი, დიანა ანთიმიადი, შენ — ნატატო, ნურბი ბერთელი, გიო სახაჯა, ქვანაზ, დათა გულა, მარი ლუიზე კამინცი, ტომას ელიოტი. ბევრი ახალგაზრდა ავტორია, რომელიც მომწონს კიდევ...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალბი?

— „სამოსელი პირველიდან“ ანა მიყვარს და კიდევ სკარლეთიც.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— რეალურში? ალბათ ყველა მონაზონი გმირია... მეც მინდა მექნდეს ამის ძალა, მაგრამ... გმირია ჩვენი პატრიარქი. და ისიც გმირია, ვინც რეალურ ცხოვრებაში ახერხებს ბოლომდე იყოს ყველაფერში და ყველასთან, ვინც მეამბოხება, ვინც იბრძვის და ვისაც უყვარს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარ მეფე მართლა გმირი იყო, როგორც ქალი. მის პოლიტიკურ გმირობაზე არაფერს არ ვიტყვი.

— საყვარელი სახელები?

— საბარბიხელ სახელებზე მოწონების მიღწევილება საერთოდ თავიდანვე მქონდა, ახლა უკვე „მოღაში“ შემოვიდა. ლაზარე, თომა, პეტრე. ასევე ექსო, გვანცა, თეკლე, კატო, სესილი და ჩემი სახელი მიყვარს ძალიან კიდევ.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ვერ იტან ბტყუღს და იმას, როდესაც ვიღაცას ფულს ტომარად უღანდები. კიდევ ვერ იტან მენწერილ-მანეთას, უტრირებულ პრავმატჩიხს.

„აფერისტობას“ ვერ იტან და ყალბ ურთიერთობებს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა?

— ყველასაქართველოს მოღალატეს ჩემი ზიზლი.

— საბოლოო მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— დავით აღმაშენებლის დროს ნარმართული ყველა ომი, ნაგებულები კი, მგონი აღტაცებას იმსახურებს დავითის უზადლო სტრატეგიული ნიჭის გამო.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უშაღდეს შეფასებას აძლევთ?

— მართალი გითხრა, ასეთი არ მახსენდება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკას რომ ვწერდე...

— როგორი გინდობდათ რომ მომკვდარიყავით?

— როგორც ახლა ვარ, ოღონდ მონანიებული მინდა მოკვდებ.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— სამიწელი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— როდესაც ვხედავ რომ ადამიანი გულწრფელია, შემიძლია ვაბატო ყველაფერი.

— თქვენი დევიზი?

— დევიზი არ მაქვს. თუმცა ერთი ფრაზა დამდევს სულ: „ყოფნას და არყოფნას სადაც შორისა ვარ, საფლავს მინანერი ნლებს დედისივით“, თუმცა გიომდე სხვა ამეკვიტებოდა ალბათ...



კიდევ ერთი ნინათყმა

ჩემი სიჭაბუკის შეგობარმა რეზო ჭიქიშვილმა თავის არც-
თუ დღაცაგებულ არქივში შემთხვევით აღმოაჩინა ჩვენი ძველი
სცენარის ბევრად სრული ვარიანტი, სამხატვრო საბჭოსთვის
გასამრავლებელი ცალი და მიოხრა: იმ ნაკლები ტექსტის
ნაცვლად აჯობებს ეს დაიბეჭდოსო. გამოვართვი, ენახე. მარ-
თლამ გულდატოვებ ვეიმუშავებო, ვეისწორებო და ამ სახით
ამკარავდ უფრო მიზანშეწონილი იქნება, ღიდი ხნის წინ მზა-
კრულად ყელგამოლადრული კინოსცენარის გამოქვეყნება.

ამ ვარიანტის ბოლოს, ერთ-ერთ ფინალურ ეპიზოდში ნახე-
ნება ჩვენი სახელოვანი მოქანდაკის ელაგუჯა ამაშუკელის
ცნობილი სიმბოლური ქანდაკება ქართველი ქალისა, რომელ-
საც კოჯრის მხრიდან მომავალი ფილმის მთავარი გმირი, მხატ-
ვარ თორნიკე ამაღლობელი თვალს შეაფლებს და ჩაუვლის.

ამან უნებურად ისევ ვამახსენა ჩემს ნინა ნინათყმაში ნახ-
სენები სამხატვრო გალერეის ფუნქციონერი დირექტორი, გა-
მობრძმედილი ინტრიგანი მიხეილ თოფურაძე, რომელსაც აგ-
რეთვე დაუნუნეს დოკუმენტური სცენარის ლობრეტო და
სტუდიის მამოძიდელ ხელმძღვანელებს უჩივლა, ერთი ვაი-უშ-
ველებო ბატვა.

აი, ამ კაცმა, საბჭოთა ეპოქაში, დაიჭირავე ფოტოგრაფი,
შეარწია ისეთი რაკურსი, რომ ამაშუკელის ქართულის დედა
მოედანზე აღმართულ, ბედნიერი მომავლისკენ ხელგაშვრულ
ლენინს ზედ კისერზე მახვილს აბეჭენდა. გაამრავლა ეს ფოტო-
ები და ფიცხლავ გააგზავნა სხვადასხვა მაღალი ინსტანციებში,
მათ შორის, ცხადია, კრემლში. იგი ამაშუკელის ქანდაკების და-
უყოვნებლო აღებასა და მოქანდაკის სასტიკად დასჯას მო-
ითხოვდა. ამბობდნენ, ამის გამო საგანგებო კომისიაც კი შეიქ-
მნაო, მაგრამ ხელისუფლება თავად მიხვდა, სასაცილო შეგო-
ბარებაში რომ იყდებოდა თავს და ეს, საკმე? შიადურჩესო.

ჩვეს სცენარში (მომავალი დრო) თოფურაძის ორჯული —
ეკუპრატო — ყოველდ უწყვიარ ფრინველებს, წერობებს იჭერს
და პატრირებს, ანამებს. რეზომ და მე მაშინ არ ვიცოდით
ცნობილი ფრანგი სიმბოლისტის კოლი დე ლილ-ადანის
მოთხრობა „ავადების მკვლელები“, რომელი უფროსადაც, სადის-
ტი ბომონდ ეპარნაბს ტბაში მოყურავდ ვეგებს, კისერს უფრებს
და ახრწობს. უცნაური დამხმარება.

წერობებსა და გვეგებს შორის მაინცდამაინც ღიდი განსხვავ-
ება არ არის. მათ სიცოცხლეს და თავისუფლებას არაინდ არ
უნდა ემუქრებოდეს.

ღმერთს შადლობა შევნიროთ, რომ ნარიყალაზე ისევ დგას
ხლიათ-იასიანი ქართულის დედა, ზოლო შთელი პლანეტის
მომხმარებელი, მონსტრი ულიანოვი, საშუადამიო მომორდა თა-
ვისუფლებას მოედანს. ეს კია — მისი და სტალინის მიერ შე-
კონინებული სისხლიანი „ნიელი იმპერატორი“ დანერგვის მე-
რე, ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა; გარეშე და ში-
ნაური შერბობის ვერაგობამ აფხაზები და შიდა ქართული დაგ-
ვარკინაბა, ამდენი მსხვერპლი შეიწირა. ძნელია თქმა იმისა —
რადის რ გვეღრსება.

ვინმე შეიძლება იფიქროს, რა ამბავია ამდენი დამხმარებე-
რის კიზამო, მტრისმეტად აფორიაქებულ, დამხმარეულ ვერაში
გვიწევს ცხოვრება და ამაზე უარესებზე არის მოსალოდნელი.

ისე კი, ამამაღ, ცნაზურა, ზედამხედველობა გაუქმებულია;
არა ვგვიჩინა კულავ გამორჩენად ახალი ჩამდგებები, ჩამშვებები
და თუ ვინმეს (სასურველია, საამისო უნარი და შესაძლებლო-
ბაც პერნდეს) სურვილი აღუტყრება, ჩვენი ვატაზურული „სამაია“
ფილმად გადაიღოს, სცენარი თითქმის მზად გახლავთ.

მასწავლის დავგვიანებით დამეჭვება ვეტრბობის მიზეზით
მობხად და „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას ამამი არავითარი
პრალი არ მიუძღვის.

შეზარ კვიტიშვილი



რეზო ჭიქიშვილი



ემზარ კვიტიშვილი

სამაია

მხატვრული ფილმი
სამ დროდ და ხუთ ბადახლად

კადრში მოჩანს ვეება ფერწერული ტილო, რომელზედაც სა-
მი ულამაზესი ასული გამოსახული. ისინი უფერად ამორადვე-
ბიან, თანმიმდევრობით ტოვებენ ჩარჩოს, ერთმანეთის ნდ დად-
გებიან და სამაიას ტაქტზე ნარწარად ეფარებიან თვალს.

გამორჩევილი ნახსენებოდა ჩამწველებული მხატვრის მა-
ღალჭირანი დაბარება. თორწინა ზოო თანამი ხატავს, მოლ-
ბერტზე ტუეუთად უდევს. მის ზურგს უკან უცნაური შრილი
ისისი, თაობის ბნელი მხარე ნათდება. მხატვარი ფუნჯს დებს,
მიხებდაც. მის წინაა თითქოს უხილავი სივრცეიდან მოდრწინ-
ელი უნაზესი სანაღი, ქალს თოვლივით თთირი სახე აქვს და ნი-
თელი მოსასხამო.

ნითოღმოსასხამიანი ასული — დიდი ხნის წინათ, ამ
დროისა და მთების მიღმა, მე მიცხოვრია და ვყოფილვარ
ოცნება შენი. სურვილი მქონდა შენი ნახვის იმდენად დიდი,
რომ ზღვას და ბმელებს გადმოველი ჩემი სხეული და თავ-
დახბროლი იცდის შენი მსყავარის წინაშე. შენა ხარ ჩემი უფ-
ლისწული, მზე ჩაუქრობი და რა ხანია დავატარებ სიყვარ-
ულს შენსას, ხუთასი წელი გელოდებოდა მოწყენა ჩემი. მიწი-
რეს, მოკვდავს, ვინც ჩემს ბავთ დეკონება, სამარაისორად
ასცილდება სიკვდილის ცელი, ნათლით მოსილი და ქაბუკი
დარჩება მარად. ღრუბლებზე რბილი, გველოდება საწლი
თეთრი, ცაზე კრიალი, მწიფის მინდა კომკი ბროლისა. სად
არ გეტებე ფერწახული და ნაღვლიანი, გიპოვე ბოლის ნე-
ტარებად მხატვრული გულის. შეუფრად დავსება, მყოფდრო
არის საფანე ჩემი, დატოვე ტანჯვის სამყოფელი, ცრუ და
ხანმოკლე, უკვდავებასთან სარეცელი ვაიზარე.

ნითოღმოსასხამიანი ასული თანდათან უკან ინებს და სიბ-
ნელებს იწმეება. თაობის მყოფე კუთხეში ახლა სხვა ქალი

სცენარი დანერგვილია გრიგოლ აბაშიძის პიესის — „მოგზა-
ურობა სამ დროში“ — სიუჟეტურ ქარგაზე.

დგას. იგი სახით ძალიან შეგას პირველს, ღონად თვის ვარცხნილობა და საშოსის ფერი განისხვავებს მისგან. ცისფერი, გამჭვირვალე მოსახსნამა აქვს. იგი სახეში შეუფურცებს თორნიკეს.

ციხეფერმოსახსნამაინი ასული — მე ის ვარ, ვისაც შეიყვარებ დედოფანს მერე, ვინც ახლაც გვიყვარს, ვისაც შენი უყვინია სული. შენთვის დატვირე ვარსკვლავების შუქი ელვარე, გამოვიფურე, რომ გამოირო ნუხლი მძიმე. ხუთს შეუყურებს მე დაიცივდი შენს შესახვედრად, შენზე ფიქრებში გვაგებარებ ხუთს საუკუნეს. მე ცისარტყელად ავევთები ნანეთობარ ცაზე, რომ დაამინაბოს სვედიანმა შენმა თვალებმა, რომ სხეულს შენსას აღმაფრენის მიეცეს ძალა. ეამს შეხვედრისა, არ შეგაკართოს სიცოცხლე ჩემმა, მონყენა ახლავს ლაგვარდებში დიდი ხნით ლოდინს. ვარსკვლავთა შორის, ანგებობა მზარდამზარ ახორფენ, სადაც ვერასდროს ვერ ააღწევს მოკვდავთა შუერთა. დროა დაგტვირე და ოცნება ნაელო ნმინდა, ვიდრე დადგება სამუდამო შეხვედრის წამი.

მეორე ასულიც ნელ-ნელა იხვეს უკან და პირველის მსგავსად უჩინარდება. მის ადგილზე შესამე, ბოლო, სურათზე შუა ადგილას მოთავსებული ასული ამოიზრდება, თეორმოსახსნამაინი. მზრები მოშიშვლულული აქვს და იგრძნობა სახე მკურდის თროლიდა. მისი ხმავე უფრო თბილია და ახლებელი.

თეორმოსახსნამაინი ასული — მე ვარ შენი დრო, შენი სატრფო, მოყვასი შენი, ვისაც ვერ ამჩნევს შენი თვალები. სიციხვლით ფეთქავს შენით სახვე ჩემი სხეული, ბროლივით პაერს ნესტოები ხარბად სუთითავენ, ყველადერს, ირავილი, ჩემი სუთიქით ეძლედა ფერი, ერთადერთს, სიკვდილს მუშობა ჩვენი გათიფა... მოლანდებდა ყოველივე ამ ქვეყნაზე, რასაც დაეძებ, ჩემი სახის და სულის მიღმა. იცოვებ, მე ვარ ერთადერთი სიმდიდრე შენი, არსება მთელი მხოლოდ შენთვის მე შემეტება, ვეჭვობ, იოლად შეელოი მშვენიებას ჩემსას, ვინც მე დამკარგავს, ის თავადვე დაიკარგება და დამკარგავს დაამშობებს ნაღველი მისი მიმოხუცედ, არჩევიანი შენზეა ახლა, რა წამს მინატრებ, იმ წამშივე გაეჩინებ შენთან, გტოვებ და ვნამდეს — შენს გვერდით ვერებოი..

შესამე, შუათანა, ასულიც იმდაგარადვე ქრება. მხატვრის ოთახში კვლავ სიბნელე ისაგდურებს. კადრი მკვეთრად იცვლება.

თათბირი

სამხატვრო გალერეის დიდი დარბაზი. შუაში — მავღადაფარებული ვრძელი მაგდა. მაგდის აქეთ და იქით საგამოფენო კომისიის წევრები სხედან. ხუთი კაცი მაგდის მარცხენა მხარეს ზის, ხუთი — მარჯვენა მხარეს. მაგდის თათან, საგარძემლო კომისიის თავმჯდომარე კეხევაძე მოკალათებულა.

სინყნარე. კადრი შედგება. მოულოდნელად კომისიის ყველა წევრი ერთხორულად აუყუანდება. გარჩევა ქირს, ვინ რას ამბობს. კეხევაძე გარბონზე ფანქარს აკაკუნებს.

კეხევაძე — ნუ ყუანებთ, ცალ-ცალკე ილაპარაკეთ! სირწყნარე. პაუზის შემდეგ კომისიის წევრები ისევ ერთხმად აუყუანდებიან.

კეხევაძე (ფანქარს აკაკუნებს) — რა ხდება, რამაა საქმე? (სინყნარე)

— კიდევ თაეიდან ხომ არ უყუართ კენჭი? ერთი წევრი — რა საქჭირა, ხუთი შავს ადგებს და ხუთი თეთრს... გატყდეს, ვინაა მომხრე და ვინაა წინააღმდეგი.

წრიპინა ხმა (კეხევაძეს) — გადამწყვეტი სიტყვა თქვენზეა.

კომისიის წევრები ისევ ახრილობებიან. კეხევაძე — დანყნარდით! (სირწყნარე) ჩემ უფლებას დაუსაბუთებლად არ გამოვიტყდები. მარიალია, ფარული კენჭისყრაა, მაგრამ ნების გაძლევთ გულახდილად ილაპარაკეთ. მონიეთ სურათი აქეთ.

კომისიის ორი წევრი დგება და ჩარჩობი ჩასმულ, საკმაოდ მორდილ სურათს თვალსაჩინო ადგილზე დადგამს.

კადრი მოჩანს დიდი ფერწერული ტილო „სამი ასული“. სურათზე გამოსახულია სამი უნაზესი ქალი. ქალები განსხვავებული მანერიითა და მკვეთრად გამოჩნული ფერებითაა შესრულებული.

კეხევაძის ხმა — მოვწონთ?!

რეაქციები ხმა — კი!

კადრი მოჩანს ერთ მხარეს მჯდარი ხუთი კაცი.

კეხევაძე — (მეორე მხარეს მჯდარს ჩაქვს) თქვენ?!

ხუთი კაცი — (თავებს იფხანებ) რა ჩვენ?

ბოზი ხმა — (მეორე მხრიდან) თქვენი აზრი მოგვახსენეთ, ბატონო!

მაღალი კაცი — კეთილი!

მაღალი კაცი წამოდგება. ამ კაცს საგულდაგულოდ გადავარცხნილი თხელი თმა აქვს. გულისჯიბში ათამდე ავტობატური კალამი და ფანქარი აქვს ჩალაგებულნი.

მაღალი კაცი — (ხმადაბლა, მშვიდად) უდაოა, რომ (ახველებს) თორნიკე ამალობელი, ამ სურათის ავტორი, ნუქიერი კაცია თავისთავად, ემიგრირებ, თავისთავად. სურათზე ვხედავთ სამ ქალს, უფრო სწორად სამ ასულს (კრდევს ახველებს) თვითუკული ასული გამოიხატავს თითო დროს. პირველი წარსულ დროს, მეორე ჩვენ დროს, მესამე — მომავალ დროს.

ფარულავა — (რეპლიკის სახით) ვიცით!

მაღალი კაცი — (აგრძელებს) როგორც ხედავთ, თემა საკმაოდ ორიგინალურია. საკითხავია ერთი: მხატვარ ამალობელს საიდან მოსდის ასეთი აზრები თავში. ხედავთ, რისი თქმა მინდა? (მის წინ მჯდარი მელტორი მამაკაცი ჩაახველებს) ესე იგი, რატომ უპირისპირებს მხატვარი ამ სამ დროს ერთმანეთს. როგორც ხედავთ, პირველი და მესამე ქალი, უფრო ზუსტად, წარსული და მომავალი დროისა, გამოიყურება მიმზიდველად. რას გავს, ამბანავებო, ამმყო დრო!

ფარულავა — (სათხე იხედავა) ჩვენი დროც გაითვალისწინეთ, თუ შეიძლება.

კეხევაძე — დანყნარდით, ამბანავო ფარულავო.

მაღალი კაცი — (ხმას უმაღლებს) იდეალურაია წარსულის, დამცირება დღევანდელი სინამდვილის და უნდობლიობა მომავლისა — აი, ეს არის ამ სურათის ქუმმარტი ბოზო...

კეხევაძე — თქვენი წინადადება!

მაღალი კაცი — წინააღმდეგი ვარ ამ სურათის მიღებისა.

კეხევაძე — გამალობთ, დაბრძინდით.

კეხევაძე სიტყვის უფლებას აძლევს მაგდის მარჯვენა მხარეს მჯდარ ახალგაზრდას კაცს.

ახალგაზრდა კაცი — (ადგება) ჩემთვის გაუგებარია ამბანავ ქაქუცა ნოზაძის გამოსვლა.

ფარულავა — მართალია.



კეზევაძე — თავი შეიკავებ, ამზანავო ფარულავ! ახალგაზრდა კაცი — სურათი არის ძალიან ჩვეულებური (კადრში მოჩანს სურათი), დაბატულია სამი ასული: პირველი, მეორე, მესამე (სამოვე ქალი ცალ-ცალკე გამოჩნდება) ჩემთვის გაუგებარია, რა დროებაზეა აქ ლაპარაკი. მე უხედავ სამ ქალს... სამთვეს პორტრეტი ოსტატურად და ერთგვიანულრადაა შესრულებული. თუ კი მართლაც, ავტორის აზრით, ეს სამი ქალი სამ დროს გამოხატავს... რა არის ამამი ცუდი. დაეკადროთ კედელზე... ნახოს ხალხმა, შეაფასოს...

წიკინა ხმა — მინც სიფრთხილე საჭირო... კომისიის წევრები ისევ აუყანდებიან. კეზევაძე ნამოდგება ჩამოვარდება სიჩუმი.

კეზევაძე — (ღინჯად) მე, ამზანავებო, ძალიან ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე (ახველებს) უნდა გითხრათ, რომ ვერ დავუქტურ მხარს მაგ ამზანავს. ყველამ ვიცით, რომ ამაღლებული ნიჭიერი კაცია, ხატვაც ებერებდა, მაგრამ, ერთი სიტყვით, ჯერჯერობით არ უნდა მიეცეთ გასაქანი.

ფარულავა — აბა ამოვადროთ სული?!
კეზევაძე — (გალოზანებული) მე შეეცდი, პატრიცემულო ფარულავა, თქვენ რომ კომისიაში შეიყვანებთ (ჩაახველებს და წყალს მოსვამს) საქმე ის გახლავთ, რომ მხატვარი ამაღლებული არ დგას სწორ გზაზე (სურათისკენ მიტრიალდება) ვთქვით, ეს ნარსული დროა (ფანქრით მიანერს „ნარსული დრო“), ვთქვით ეს ჩვენი დროა (ისევ მიანერს).

ბოხი ხმა — რატომ ანერო?
კეზევაძე — (შეკრთება) არა უშავს, ნაიშლება (მიანერს „მომავალი დრო“) ახლა საკითხი ასე დგას... რატომ ასანავს მანცდამაინც სამ დროს და არა ოთხს, ან ნაკლებს, ანდა პირიქით... ეს საკითხიც ერთგვარ დაკონკრეტებას მოითხოვს; მეორეც, თანამედროვე დრო არაა სრულყოფილი... ეს ავტორის აზრითაა... ასეთი ხმები მოვიდა ჩემამდის... შემდეგ, სხვა დროებიც არ პასუხობს თანამედროვეობას, მოკლედ, სრული უდროობა გეჭიკრს. ამქედან დასკვნა: ამაღლებული არაა თანამედროვე და ამაღლებული სულის ადამიანი...

ფარულავა — ამიტომ არ არგუნეთ სახელსონო ამაღლებულს; რატომ ამოიღებთ სიიდან, როცა სახელსონობებს ანაწილებდით?

კეზევაძე — (ამოიჭმუნს) ამისთანებმა ნარყვნეს ახალგაზრდები. ამაღლებულის ცოდვეთ თქვენ კისერზე იყვეს. კადრში მოჩანს ფარულავას კისერი. ისმის მუსიკა, ჟრეხელი ვარ და შერეხელის“ მელოდის თებება. ეკრანზე ჩნდება ნარწებობი:

- მოქმედ პირთა კატალოგი:**
- 1) თამარი
 - ა) ნარსული დროში — ირემბა, ასული შუანზე მთავრისა
 - ბ) მომავალ დროში — ნანა მსახიობი ესა და ეს...
- იყვლება კადრი**
- 2) თორნიკე ამაღლებული — ახალგაზრდა მხატვარი მოხვდება სამ დროში ასრულებს — კადრი იცვლება
 - 3) კეზევაძე — სამხატვრო გალერეის დირექტორი
 - ა) ნარსული — შუანზე — მრისხანედ ნოდებუი, ნაპიერი ფოვადე კეზესე.

ბ) მომავალ დროში — კეზერელი — აბატიმრებს ნე-როებს მსახიობი...

- კადრის ცვლა**
- 4) ვალიკო ბუჭვია — თამადა
 - ა) ნარსული დროში — ყვარყვარე — სპასალარი შუანზე მრისხანეს
 - ბ) მომავალი — ისევ ვალიკო — უკანასკნელი ნამიერისი გვარისა ასრულებს...
 - კადრის ცვლა**
 - 5) უშანგი — გზას აცდენილი პოეტი
 - ა) ნარსული დროში — ფეშანგი — ხის ოსტატი
 - ბ) მომავალი არა აქვს.
 - ასრულებს —
 - 6) სიმონი — მხატვარი, პროვინციიდან ჩამოსული კაცი.
 - ა) ნარსული დროში ვერ ვხედავთ
 - ბ) მომავალი ძველი დგას მისი ჩვენს დროში მის როლს ასრულებს მსახიობი ესა და ეს... ნარსული — ძველი ნამდვილი ქვაა.
 - 7) ფილიპე — ძმა თორნიკე ამაღლებულისა, პროფესიით მექანიკი
 - ა) ნარსული დროში ბახვა — ხვარამზეს უმცროსი შვილი
 - ბ) მომავალი — პილიპე და არა ფილიპე ასრულებს...

მოქმედება ხდება თანამედროვე თბილისში, შემდეგ კვირიკეთი და პილს უზარმაზარ ბაღში, რომელიც დაყოფილია გარსებად.

ქრება ნარწებობი.

ნაფენა

შუაღღა. მზე. ხეივანი.
კადრში ჩანს ქართველი ქალის მონუმენტი. აპარატი ქალს ქვეყიდან უყურებს. სკულპტურა თითქოს ნაფერდებულია. საერო ხედი ზემოდან. აპარატი ქვევით ჩამოდის. ბალახები ქალ-ვაფა ნამონოლილი.

თორნიკე, თამარი

სინყარე. მოსჩანს თბილისი, სივრცეში გაფენილი ვაყისფერი საბურავები, ისმის შორეული ზარების რეკისი ხმა. თამარი დგება და თორნიკეს ხელს აძლევს. თორნიკეც დგება. ორთავენი მალღობის კალთებით ეშვებიან. ნაძვებსა და ბუჩქებში დროდადრო მათი ფიფი ტანსაცმელი გაივლებს. ზღაპრულია განაჩქობუნ გზას. გადიან ქალაქის დასახლებულ ნაწილში. დაფერდებულნი, ფილადისფერი ქვეპირთ მოკონწყლული ქუჩა და მუხრერი ბაღებითა და მუქი წრდილებით დაფარული ტროტუარები უკან მიიწევენ. ქალაქის ხმაური თანადათა ახლოდება. ხალხმრავალი ქუჩა. სივცე. სწრაფად მოსიარულე გამხლებლები კედლებთან განალოლი ვინჩრი წრდიან ეტანებთან, თავზე გაკეცილი ვაზოს ფილადის.

მოხუცი მეპაპროსე ნულან ბოთლს იყვდებს. გზაჯვარედინზე მილიციის დიდი, ნითელი მანქანა. თავზე რეპარატუქტორი ადგას. მოძრაობა წელდება. ზოგიერთი მოქალაქე ჩერდება და მანქანას აკვირდება.

ბმა რეპროდუქტორიდან:

ყურადღება!!! ამხანაგო მოქალაქენო!
ქალაქის ქუჩებში მოძრაობს სხვადასხვა სახის უამრავი ტრანსპორტი. გახშირებულია ავარიები და უბედური შემთხვევები. ქუჩაზე გადასვლისას ჯერ მოხედეთ მარცხნივ, ხოლო შუა ადგილას მისვლისას — მარჯვნივ. თუ ამ წესს დაიცვალ, თქვენი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იქნება.

წითელი მანქანა იქაურობას შორდება. რადიოს ბმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმის.
თორნიკე და თამარი ნასწავლები წესის თანახმად, ქუჩას ჭრიან და მშვიდობიანად გადადიან მოძირდაპირე მხარეზე: ჯერ იხედებიან მარცხნივ, ხოლო შუა ადგილზე მისვლისას — მარჯვნივ.

უზარმაზარი მოედანი. მზით ალაღაპებული გუდრონი და ტრამვაის ლიანდაგები. შუა მოედანზე ტრამვაის მსუბუქი მანქანა დგახვებიან.

გზა სწრაფად იტემა, მოძრაობა წყდება. მოედანი ივსება უამრავი ტრანსპორტით და მოქალაქეებით. თორნიკე და თამარი იქვე ჩნდებიან.

ერთ ხაზზე თორმეტი ტრამვაი. ერთმანეთზე მიწყობილი ავტობუსები და ტროლეიბუსები. გაჩერებულია ათასი მსუბუქი მანქანა, დასიცილი მოქალაქენი ყველა სახის ტრანსპორტის დანჯირიდან იციქრებიან და სახეზე გეტყობათ, რომ დაყოვნების მიზეზს კითხულობენ.

თამარი და თორნიკე მანქანებსა და ტროლეიბუსებში მიიკვლევენ გზას. ვაჭვ მოქმედებს ეს ორომტრიალი, იგი ბრახოხს: თამარი იღივება.

მოედანი ზემოდან ხელიანგულიანი მოსწავს. მანქანებსა და ტროლეიბუსებში დროდღერი ვალია და კაცის ტანსაცმელი გამოწონილი.

თორნიკე შუა მოედანზე ჩერდება, ზეით იყურება. დიდი სახლის მერვე სართულზე ძლივს მოსწავს გაღებულ ფანჯარა.

— ჩემი ძმა მოსულა! — ამბობს თორნიკე. ოთახი. ტახტზე გაუხდელია ნეკს დილაგი. იქვე დაბალ სკამზე სანახევროდ დატყლილი ბორჯომის ბოთლი უდგას.

თამარი — [თორნიკეს] შენ იმუშავე, ხელს არ შეგეშლის.

ტრანსპორტმა თავი აიშვა. გეტყობა გზა დაიკვალა. ცისფერი ტროლეიბუსის ბიგებელი ხაზს მოწვდა და მოედნის თავზე დაქვლილმა მათულებმა პამაკით დაიწყა ჩრევა.

ლიანდაგებზე ტრამვაიები ახრჩიალდა.

თორნიკე საფეხებზე ხელი წაიღო და უკანვე გაბრუნდა. თამარი გაეცა.

კაფე

ვრცელი დარბაზი. სინყნარე. კედელთან თავახდელი როიალი. ცარიელი ესტრადის სკამები. მოლაკებული დანჯირებიდან მსუბუქი ნიაი შემოდის და დიდ, თვით ფარდებს არ ხეხს.

კუთხის მაგიდისთან ვალიკო დგას, ხელში დიდი ჭიქა უჭირავს. ხუთი თანამესუფრე სერიოზული სახეებით სხედან და ვალიკოს მეჭყურებენ. ვალიკოს ნაცერისფერი, ქიშირის გადაშავებული ხალათი აცვია, ნელზე ფართო ქამარი აქვს შემოჭურული.

შუა მაგიდაზე ღვინით მოსველებული ბილისი ეახს დგას. ვახას, როგორც ჩანს, საგანგებო შემთხვევაში სალდევრძელს სამქმელადაც იყენებენ.

მშობრობით ცარიელ მაგიდას თორნიკე და თამარი მისხდომიან. ახლა მათ ქერათმიანმა მიმტანმა შავი ყვავა და ტკბილული დაულაგა ნინ.

ვალიკოს ხმა ამ მაგიდადმე მხოლოდ გაურკვევდი ბგერების სახით აღწეს. თამარი ყავას მოსვას და თორნიკეს ვალიკოზე ანიშნის.

— საბინელი თავებდია... ამას წინებზე ქუჩაში გამაჩერა: მიყვარბარო — მითბრა.

თორნიკე ყავას წრუბავს და ფიქრობს. თამარის ნაოქვამი თითქოს არც გაფერინა.

თამარი — [ხმადაბლა] მუდამდლე აქ ზის. სულ ღვინის სეამს.

თორნიკე — რაც შეუძლია იმას აკეთებს [ჩაფიქრდება]. ალბათ დროის ბრალია. ადრე რომ დაბადებულყოფო ქვეყანას გამოადგებოდა.

თამარი — კაცად არასოდეს ივარგებდა.

თორნიკე ვალისჯიბიდან ფანქარს ამოიღებს. ქალღლის ხელსანმედნად გულის და ზედ ხატავს... დროდღერი ვალიკოსაკენ აპარებს თვალს.

ვალიკომ სალდევრძელი დამათავრა. ჭიქა დაცვალა და თამარისაკენ გაიხიბა. იწყებენ სიმღერას. მიმტანი კაცი, რომელიც დახლბან თვლივდა, კისერზე ხელს მოიკიდებს და მომღერებს დედრივება: არ იმღეროთო.

— დაგუფულად, დაგუფულად? — დოუძახებს თვალბდანიოღებული ახალგაზრდა, მომღერლები ხმას უმატებენ, მაგრამ ისე თავგუქავებულად, რომ მართლაც დაგუფული მრავალამიერი გამოუდოი.

თორნიკე — [ხატავს] ბრწყინივლე ბანი აქვს იმ თავებადაპარსულს. კარგად მღერინა.

თამარი — მეტი რა საქმე აქვთ. რას ხატავ?

თორნიკე ქალღლს აჩვენებს. დაუხატავს ვალიკო. თამარი იცინის.

ხელსანმედნად სხვადასხვაგვარად ჩაცმული, სახეშეცვლილი სამი ვალიკო მოჩანს.

თორნიკე — ძველ დროში ალბათ ასეთი იყო [თამარი იცინის] ახლა ესაა [შუა ნახატზე უთითებს].

თამარი — [იცინის] არ გაგვიტოს.

თორნიკე — სესეც... 500 ლლის მერე რომ გაჩენილიყო.

თამარი კიდევ გაიცინებს, შემდეგ გაჩერდება და ხმადაბლა ჩაილაპარაკებს: — ნებავი თუ დამთავრდა კომისიის სხდომა.

თორნიკე — [ყავას მოსვას] ბოძამენ შეზეფძისაკენ კარგს არაფერს გამოვეცი.

თამარი — [სიღ ყვავას მოსვას] თუ არ მივიღეს, რას იზამ?

თორნიკე — თავს მოვიკლავ რა უნდა ექნა.

თორნიკე გაჩერდება. ქალ-ვაგი მდუმარედ სვამენ ყავას.

თამარი — [მცირე ხნის შემდეგ] უდაბნოში ბომ არ აპირებს ნასვლას.

თორნიკე — არა. ზღვის შექმნა სისულელეა. უდაბნო იმიტომანა, რომ უდაბნო უნდა იყოს... ზღვა ისეც ბევრია.

თამარი — მე მინდოდა ნასვლა...

თორნიკე — [უდარდელად] მერე?

თამარი — [ამოიხიბებს] მარტო ვერ ვაბედავ.

[თორნიკე ოდნავ გაიღივებს]

ფილიკე

თორნიკე ამაღლობის ოთახი. კედელზე გუამით დახატული რამდენიმე სურათი და ფერში შესრულებული ენთოდია დაკიდებული. კუთხეში მოღბერტი, ჩარჩოზე გაკრული ტილო, საღებავები, ფუნჯები.



ტახტზე ფილიპე. ფილიპეს დიდი მუთაქა აქვს თავქვეშ ამოღებული.

შემოდის თორნიკე, დალილია და უკმაყოფილო. იგი უაღკლო აღვილას დაყრილ საგნებს ფეხით მავიჯისქვეშ შეყრის. ფილიპე ცალ თვალს გაახელს.

ფილიპე — სახლმმართველი იყო... რაღაც ქვითრები მიაორია... შეიტანეთ ფული დროზეო.

თორნიკე — [ქვითრებს ათვლიერებს] რა იციან მავათ რა არის დრო. სამსახურში რატომ არა ხარ?

ფილიპე — უჯამაგირო შეებულება ავიდე... თორნიკე — ახლახან არ გადი სამუშაოდ?

ფილიპე — რომ გავედი, გამოვედი ისევე; დღეში ორს ნიგნს ეკინძავ, მომწყინდა...

თორნიკე ხელს ჩაქნევს. ფანჯარასთან მივა და რაფაზე გადაწვება. დიდი მოედანი მთელი სიბრტყით მოსჩანს. თორნიკე რაფაზე დავროვილ მტვერს სულს გადაუმერავს, უკან დაიხვეს და ფანჯარას მიაჯახებუნება...

ფილიპე — [სხვათა-შორის] მიიღეს შენი სურათი?

თორნიკე — არ ვიცო... დღეს არის უკანასკნელი კომისია და გადაწყდება.

ფილიპე — დამთავრებულია უკვე, ვილცამ მითხრა... შენი ძმის სურათი არ მიიღესო... არ მონონებიათ.

თორნიკე — [შემკრთალი] ვინ ვითხრა?..

ფილიპე — [ფიქრობს] ვინ იყო დღეს ჩემთან?... ვილცამ კი მითხრა.

თორნიკე — მაინც ვინ...

ფილიპე — [ბუხს იგერიებს] შეიძლება დამეისზმრა, არ ვიცი

ოთახში სიწუმე ჩამოწვება. თორნიკე მავიჯდას მიუჯდება, უბრალო თბახის ფურცელს აიღებს და ფანქრით რაღაც ჩანახატებს აკეთებს.

ფილიპე — სიმონის სურათები თუ მიიღეს?

თორნიკე — კი.

ფილიპე — რომლები?

თორნიკე — ყველა, მთელი ციკლი: „ვარიაციები რუსთაყის თემზეზე“.

კარებზე ვილცე დააკაუნებს და იმნასვე შემოვა კიდევ ოთახში. ეს უშანგია, რომელსაც ხელში გავხეთების დასტა უჭირავს.

უშანგია — გაუმარჯოს, ძმებო!

თორნიკე — გაგიმარჯოს.

ფილიპე — გაგიმარჯოს, თუ გინდა.

თორნიკე — რა არის ახალი?

უშანგია — გეტყვით აგურ [სკამზე მოკალათდება].

ფილიპე — წყალნაღებული რომ გადავიჩრჩინო, რა მოგეცა.

უშანგია — მედაღს ველი.

თორნიკე — რა წყალნაღებულზეა ლაპარაკი?

უშანგია — აგურა გაზეთში და ნაიკითხე [გახვს აძღვეს].

თორნიკე — [კითხულობს] მართალი ყოფილა!

უშანგია — ყოფილა რომელია, მთელმა თბილისმა გაიგო:

ღამის ოთხ საათზე მტკვრიდან ამოვთარიე კაცი. მისდაიღბლად მოემისთვის მასალებს ვაგროვებდი და სანაპიროზე ჩავივარე.

ფილიპე — [ნაღვლიანად] ქალის გული-ზე თუ ქნა სანყალმა.

უშანგია — [გაზეთებს არჩევს] იმ დღეს ფოტონურ რაქტებზე რომ ელაპარაკობდით, აგურ ნერია.

თორნიკე — ახალია?

უშანგია — დროის საკითხი დგას ცოტა სხვანაირად.

თორნიკე — [ჩაფიქრდა] დრო ძალიან რთული ამბავია.

ფილიპე — ერთ რამე გამეკვირებია მე.

უშანგია — რა?

ფილიპე — იმ ფოტონურ რაქტებზე და რაღაცეებზე რომ ლაპარაკობთ, არ გეზარე-

მხატვარი კარლო ფარულია

ბათ? იმ უდაბნოსი და ზღვის არ იყოს, რამე გაინტერესებთ ეს ამბები?!

[ფილიპე კვლისაკენ გადაბრუნდება და თავზე წითელ მუთაქას დაიფარავს].

უშანგია — [გაზეთებს ქეჭავს და ერთ-ერთს ამოარჩევს] ეს არაფერი, აგურ ტყეუჩავას მოხსენება დაუბეჭდათ.

თორნიკე — რა მოხსენება?

უშანგია — იმ დღეს რომ ილაპარაკა, მხატვრების შეკრებაზე.

თორნიკე — მაგი რომ ტრიბუნაზე ავიდა, მე გარეთ გამოვედი. არა მინდაო?!

უშანგია — მოთხროლია მთელი მიჭები. ერთი აბზაცი შენზეა; წითელი ფანქრით მაქვს გახაზული. ნაგვიკითხავ [უშანგია კითხულობს].

კათედრაზე დგას ტყეუჩავა. ტყეუჩავა 40 წლის ლამაზი აცია. აცია მიდრულად და თითქმის გემოვნებითა, მარ-





ცხნა ხელში სათვალე უჭირავს; ლაპარაკობს. ცდილობს ორიგინალური მანერებით მიიტყოს აუდიტორიის ყურადღე-
ბა. ნახევარი დარბაზი მაინც არ უსმენს.

— ამხანაგებო, მე არ შემძლია გვერდ აღუვარო იმ სა-
განგაშო ფაქტს, რომლის წინამძღუდ ჩვენ აღმოვჩნდით ამ
ბოლო ხანებში. როგორც წინა სხდომებზე, ჩემმა კოლეგა
კე ზუგუიძემ აღნიშნა (პირველ რიგში მეგობრობა კე ზუგუიძე თა-
ვის კანტურით ეთანხმება) ახალგაზრდა ქართველ მხატვ-
რებში თავი იჩინა ყოვლად შეუწყნარებელმა უიდიომამ,
ჩვენი ჟანსალი ტრადიციებიდან თვითნებურმა გადასბეუ-
ვამ, ყბადღებულ მოდერნიზაციულ სექსუალ გავლენებამ და შეგ-
ნებულმა ბუნდოვნებამ. ამ მხრივ სამაგალითოა ახალგაზ-
რდა მხატვარი თორნიკე ამალობელი. მისი უკანასკნელი
ტრონიტი საყოველთაო გავრცელების ღირსია. ამხანაგებო,
თორნიკე ამალობელი ჩვენმა აკადემიამ გამოზარდა...

5 წლის მანძილზე მას არ დაკლებია ზრუნვა და ყუ-
რადღება. 5 წელი უზრდოდ, ვალდევდით სტიპენდიას,
ვაცემვდით, ვაჭმევდით...

ფარულავა — (დარბაზიდან) რას აქმევდით?
ტყუებოდა დაიბნევა, ზორჯობა მოსვამს; შემდეგ ისევ გა-
აგრძელებს.

— ყოველივე ამის შემდეგ რატომ დაადგა მცდარ ზეპს
ამალობელი, რა გაუნებებ, რას მოითხოვთ ჩვენგან, ამ-
ხანაგო თორნიკე?

თორნიკე — გადაშენდი იქით... მომპორე მაგ გაზეთი!
უშანგი კოხივას შეწყვეტს, გაზეთს გადაადგებს. გაშლილი
გაზეთი ფორსით დაგარდება ძირს. თორნიკე ადგება; ადუღ-
ვებულო ოთახში აწრიალდება.

უშანგი — (თანაგრძნობით) გაზეთში მაინც რაღას ბეჭ-
დავდებინე!

თორნიკე ფანჯარას მიადგება და სიერცემი იყურება.
ოთახში სიჩუმი.

უშანგი — ადრე ვფიქრობდი — კაცო როცა კვდება,
ყველაფერი მამინ თავდება-მეთქი. თუ ძმა ხარ, ერთი
ფარდა ჩამოშვი, სინათლემ თვალში მომჭრა.

თორნიკე ზონარს დაქაჩავს. ოთახი ნახევრად ბნელდება.

თორნიკე — რაზე ყვები მაგას.

უშანგი — სული ხომა უკვდავი?

თორნიკე — ვინ გითხრა.

ფილიპე მოსაუბრეებისაკენ გადმოტრიალდება და მუთა-
ქის ქვეშოდან გამოიხედავს.

ფილიპე — რა თქვი? სული რაფერა უკვდავი?

უშანგი — თუ ძმა ხარ, ამაზე არ დამოწყობ დაეცა...

თორნიკე დადგება. ფანჯარას და ქაღალდს მოიმარჯვებს.

ფილიპე თვალმას ფართოდ გაახლებს.

უშანგი — (აგრძელებს) როცა სული ერთ ინდივიდს
დატოვებს, რამდენიმე ხნის მერე აუცილებლად სხვა პი-
როვნებაში გამოვლინდება (ფილიპეს) შენ არ გიფიქრია ამ
საკითხზე?

ფილიპე — (გაოცებულა) რაღაცა არ მახსოვს.

უშანგი — მე დამალმობით ვფიქრობ და ტვინი გაზეთ-
ქაზე მაქვს.

ფილიპე — ხომ არაფერი მოიფიქრე საბოლოოდ...

უშანგი — (ხმას დაწევს) დავასკენი, რომ ზუთასი
წლის წინ ლომბარდიის ჰერცოგი ვიყავი.

თორნიკე ქაღალდზე უშანგის დაბატავს, რომელსაც ჰერ-
ცოგის ტანსაცმელი აცვია. კადრში მოჩანს ეს სურათი.

ფილიპე — (მოგადობული) ან რა იქნები?
უშანგი — რადგანაც პოეტური ბუნების ვარ, შეიძლე-
ბა მეცნარედ მოვიდე...

ფილიპე ამოიქმუნს... მუთაქას უფრო მოხერხებულად ამო-
იღებს თავვეშ და ოდნავ ზევითაც წამოიწვევა.

ფილიპე — სხვა საბუთი თუ გაქვს რამე, რომ ადრე
ჰერცოგი იყავი.

უშანგი — როგორ არა... ამასწინებზე სხვისი აბონე-
მენტით ოპერაში შევიედი და ყველაზე უფრო ჰერცოგის
არია მომეწონა.

ფილიპე — შენი ამბავი გამორკვეული ყოფილა... იქმ-
ზე ხომ არ გიფიქრია?

უშანგი — არა, მაგრამ თუ ამ საქმის რამე გამეკვება:
აბისინიის უკანასკნელი მეფე იქნებოდი. სულ იმის ხასია-
თი გაქვს.

ფილიპე — (გახარებული) მართალია ეს კაცი!
თორნიკეს აბისინიის მეფე დაუბატავს. კადრში ტახტზე
მჯდარი ფილიპე, ფილიპეს სკიპიტრა უყვარა ხელს.

უშანგი — (თორნიკეს) რა მაგის პასუხია და რა ქნეს,
მიიღეს შენი სურათი?

თორნიკე — არ ვიცი... დღეს უნდა გადაეწყვიტათ. ეს
(ფილიპეზე ათითებს) ამბოხს არ მიიღესო. აღბათ გული
უგრძნობს.

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

ფილიპე — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!

უშანგი — (ამოქნარებს) მე ვთქვი რამე?!



სიმონი – (სკამზე გასწორდება) რა ვიცი, ჩემთვის არავის უკითხავს თუ არა პირველად ამას მივცემდი.

(თორნიკე მოსაუბრეებს გვერდს შეაქცევს) გულშემატკივართა ყყყინი ძლიერდება. განსაკუთრებით აქტიურობს 35 წლის, დიდადიაინი ახალგაზრდა, რომელსაც ბაღში, ეტყობა, სხვაზე მეტი ავტორიტეტი მოუპოვებდა.

სიმონი დგება და გულშემატკივრებთან ჩაიმზულხებს.

მსუქანი გულშემატკივარი – მთა რომ მუხებზე გავდავიყვანოთ, ინსაიდზე კაცი არ რჩება. ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე და ვერაივის ვერ ვხედავ.

სიმონი – (მოულოდნელად) რა მუსხედაა უნდა, ზეინკა-ლა გავა ნინ, მუშა ფეხბურთელია.

ეს სათუთი პოეზია მასში ჩასახლებული თეთრი მიტოტი „ჩემს სადარდელს უსტვენს“. აქ არის იასამანი, მართალია, „შემქანარი“, მაგრამ მისი დანახვა რალფ მინახებულს აღივებს, გაუმხილელს გიმხელს... გაზაფხულის ჯიბრზე მოსული თოვლი, პოეზია თეთრი ნუშის გაცინებად რომ აქცევს, და ცხადს შერეული სიზმარი, რომელიც ბედის საძებნელად გზაზე დამდგარს საგზალს მოგაგნდის...

ამ პოეზიის სევედა სულაც არ არის გულგატეხილობა, მისი მოლოდინი სულაც არ არის უიმედო... მუდმივობის ბიორბადლ ტრიალებს... სულ მუდამ გიცვარს, სულ მუდამ ელი, სულ მუდამ ღიაა კარი, რომ ყოველდღიურობას გაქცეულმა თითქოს გზისპირას მიტოვებული ძველი ბაღის კარი შეაღო, ჩამოჯდედ იქვე. ყური მოუგდო სანატრელ მყუდრო სირუშეს და გულში შენთვის თქვა, რაც პოეტისგან გაგეგონია:

აქამდე მახსოვს ყელმოღერება
ნეწორს, ყვავილის, ნიავის, სტვირის.
ვერ ვტირო, თორემ რა მემღერება,
ზოგს რომ ჰგონია, რა უნდა ტირილს.



ირანის შაჰისა და დედოფლის ვიზიტი საბჭოთა კავშირში

დედოფალ სორიას მოგონებაები

1956 წლის ზაფხულში ოფიციალური მინვევით საბჭოთა კავშირში გაემგზავრეთ. ბრუშოვის ეპოქა იყო და მრავალწლიანი უთანხმოებისა და ცივი დამოკიდებულების შემდეგ ირან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებს უკეთესობის პირი უჩანდა. ირანის შაჰისა და დედოფლის მინვევით საბჭოეთში ამ ურთიერთობათა გამყარება სურდათ. თერანში ორი თვითმფრინავი გამოგვიგზავნეს. მოსკოვში ჩაფრენამდე გზად ბაქოში შევიწერდი, სადაც საბჭოთა აზერბაიჯანის ოფიციალური პირები დაგვხვდნენ. ბაქოშივე გადმოგვცეს ქვეყანაში ჩვენი ვიზიტის პროგრამა, რომელიც ორივე ენაზე — რუსულად და საპარსულად — იყო შედგენილი.



მიღების ცერემონიალი ვრცელი და საფუძვლიანი იყო. კომუნისტური რეჟიმის დასაწყისი და მინვევით ჩვენი მონარქია პირველი ოჯახი ვიყავით, ვინც ამ ქვეყანას ეწვია. ამდენად, მათთვის ჩვენი სტუმრობა საინტერესო იყო.

ჩვენთვის კრემლის სასახლის ის ნაწილი მოეზადებინათ, რომელიც ადრე იმპერატორის ოჯახს ეკუთვნოდა, ახლა კი საბჭოთა მთავრობის სამუდამო სასახლად იქცა. აქ იყო ერთი მისაღები დარბაზი, ორი საძინებელი, სასტუმრო და სააბაზანო ოთახები. დარბაზსა და ოთახებში ულამაზესი ძვირფასი ხალჩიები დავაეთ.

მოსკოვში ოთხი დღე დავყავით. სადაც მივიდოდით, ყველგან ნაირ-ნაირი საქმელ-სასმელი გვხვდებოდნენ. მასპინძლები ჭამა-სმამი გამაოგნებელ მადას ავლენდნენ, მითქვამს ასეთი წვეულება ძალიან იშვიათად, ან სულ არ ენახათ. ყოველი დანესებულებისა და სანარჩოს მონახულება ხანგრძლივი, სამ-ოთხ საათიანი სუფრით მთავრდებოდა. სუფრაზე, როგორც წესი, ალკოჰოლის აბეულებით ბოთლი იცვლებოდა, რომელთა უმეტესობა მაგარი რუსული არაყი გახლდათ.

ყურადღებას იქცევდა საბჭოთა კავშირის ბელადის, ბრუშოვის, ქცევა. იგი თითქმის ყველა ღონისძიებასა და წვეულებას ესწრებოდა, სუფრასთან ჩემ გვერდით ვდებოდა და დაჭრებით მიზიდავდა, რაც შეიძლება მეტი მსჯედა მეტყმა. მიმტანთა ყურადღება, რომლებიც ლანგრით მთავაზობდნენ კერძებს, არ აკმაყოფილებდა და



მასხედება: მოსკოვში ჩამოსვლის პირველ დღეს კრემლი ჩვენი საცხოვრებელი აპარტამენტის მისაღებ დარბაზში შაჰს ეუბნარი, ჩვენს პროგრამაში დიდი თეატრის მონახულება არ შედის, არადა, დიდი სურვილი მქონდა, მსოფლიოში სახელგანთქმული თეატრი შენახა, განსაკუთრებით — ბალეტ-მეთეი. ამ საუბრიდან ნახევარ საათსაც არ გაუვლო, რომ ჩვენი მასპინძელი ოფიციალური პირი შემოვიდა და გვკითხა:

— ზომ არ იწებებენ მათი უდიდებულესობა შაჰი და დედოფალი, რომ მოსკოვის დიდ თეატრში საბალეტო წარმოდგენას დაესწრონ?

მინვევა მივიღეთ და ულამაზესი საბალეტო დადგმა ენახეთ. თავის მხრივ, დიდი თეატრიც შეუდარებელი აღმოჩნდა.

ეს ამბავი შემთხვევითობას მივაწერე. მაშინ კი გავოცდით, როცა შაჰს უთხარი, თუ შემთხვევა მოგვეცა, ქრცინის ქურქი მინდა ვიყიდო—მეთეი, მეორე დღეს კი საბჭოთა მთავრობის სახელით ქრცინის ულამაზესი და უძვირფასესი ქურქი მომართვეს საჩუქრად. შაჰმა ჩამწერულა, ალბათ, ჩვენს ბინაში მიკროფონები დგას და საუბარში სფრთხილე გვმართებოდა.

იმ ღამით შაჰმა, იცოდა რა, რომ ჩვენს ლაპარაკს უსმენდნენ, მითხრა:

— ამ საღამოს ერთი პატარა თვითმფრინავი მომივიდა თვალში. რომ შეიძლება მოგეს, სიამოვნებით ვიყიდდი. თერანში ძალიან გამოგვადგებოდა.

რუს მასპინძელს ჩვენი ფიქრები ნაეკითხა და მეორე დღეს საბჭოთა მთავრობამ შაჰს პატარა თვითმფრინავი უსახსოვრა.

საბუნდევროდ, ჩვენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა, თორემ ეს ვიზიტი საბჭოთა კავშირს ერთობ ძვირი დაუფადებოდა.

საუკეთესო ნაწერებს თავისი ჩანგლით მიდებდა თვფშე. როგორც კი თვალს მომკრავდა, აღმატებით ეპიეთებოდა ამკობდა ჩემს მწვენიერებას და ამ ზოტის ფონზე თავის პოლიტიკურ ზრახვებსაც მიმხვლდა: მეუბნებოდა, ასეთ ღამას ქალს ყველაზე უკეთ შეუძლია, შაჰი ჩვენიად გულითადი მეგობრობისთვის შეგავლიანოს.

...კრემლი ცხოვრების ხანიდან რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი

მასხედება: მოსკოვში ჩამოსვლის პირველ დღეს კრემლი ჩვენი საცხოვრებელი აპარტამენტის მისაღებ დარბაზში შაჰს ეუბნარი, ჩვენს პროგრამაში დიდი თეატრის მონახულება არ შედის, არადა, დიდი სურვილი მქონდა, მსოფლიოში სახელგანთქმული თეატრი შენახა, განსაკუთრებით — ბალეტ-მეთეი. ამ საუბრიდან ნახევარ საათსაც არ გაუვლო, რომ ჩვენი მასპინძელი ოფიციალური პირი შემოვიდა და გვკითხა:

— ზომ არ იწებებენ მათი უდიდებულესობა შაჰი და დედოფალი, რომ მოსკოვის დიდ თეატრში საბალეტო წარმოდგენას დაესწრონ?

მინვევა მივიღეთ და ულამაზესი საბალეტო დადგმა ენახეთ. თავის მხრივ, დიდი თეატრიც შეუდარებელი აღმოჩნდა.

ეს ამბავი შემთხვევითობას მივაწერე. მაშინ კი გავოცდით, როცა შაჰს უთხარი, თუ შემთხვევა მოგვეცა, ქრცინის ქურქი მინდა ვიყიდო—მეთეი, მეორე დღეს კი საბჭოთა მთავრობის სახელით ქრცინის ულამაზესი და უძვირფასესი ქურქი მომართვეს საჩუქრად. შაჰმა ჩამწერულა, ალბათ, ჩვენს ბინაში მიკროფონები დგას და საუბარში სფრთხილე გვმართებოდა.

იმ ღამით შაჰმა, იცოდა რა, რომ ჩვენს ლაპარაკს უსმენდნენ, მითხრა:

— ამ საღამოს ერთი პატარა თვითმფრინავი მომივიდა თვალში. რომ შეიძლება მოგეს, სიამოვნებით ვიყიდდი. თერანში ძალიან გამოგვადგებოდა.

რუს მასპინძელს ჩვენი ფიქრები ნაეკითხა და მეორე დღეს საბჭოთა მთავრობამ შაჰს პატარა თვითმფრინავი უსახსოვრა.

საბუნდევროდ, ჩვენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა, თორემ ეს ვიზიტი საბჭოთა კავშირს ერთობ ძვირი დაუფადებოდა.

მაჰმუდ თოლუის ნინიდან „ზიზიკი თანხა“



ანანი მცხაია*

ცხოვრებაში ჩემი მეგობარი მუდამ შემთხვევა იყო. 1962 წლის შობის დღესასწაულის შემდეგ ლოს ანჯელესში ასევე შემთხვევით შევხვედი დონი დე ლაურენტისს, იტალიელ კინოპროდუსერს. მას აბრეც ხშირად შევხვდებოდა რომაა და მინტე კარლო და ყოველთვის თავაზიანად და კეთილგანწყობილ მხოვდა, ბედი კინოსტუდიებისათვის და ამეკავშირებინა, თუმცა ყოველ ვაჯრზე უარს ვუთხრებოდა. ამგურადაც, ბევრელი პილში, საერთო მეგობართან სტუმრობისას, ჩემი ევროპაში დაბრუნების წინა საღამოს, იგივე დაივიწყა.

ხუთიოდე წელია, თერინიდან ნამოვედი და უსაქმო ქალურმა ყოფი დაიშალა. ხელოვნების სფეროში ნარმატებული კარიერა ჩემი სიმანველის ოცნება იყო. ოცნება, რომელსაც შაბთან კორინების გამო შეველიერატომ არ ვცადა, იქნებ დღეს ავიხდინო იგი?...

- ბატონ დე ლაურენტისს ვეკითხოვ:
— რატომ გაკონიათ, რომ გამოიშვებ?
— უბრალოდ მპასუხობს:
— სინჯებს გავაკეთებთ.
— ერთი პირობით, რომ ეს სინჯები საიდუმლოდ დარჩება. თუ შედეგი არ დაგვაკმაყოფილებს, ფირებს გაუანადგურებთ...

1963 წლის 12 მარტს მე და დედაჩემი რომში გაფორმდით. ისე, რომ მამარქმისთვის არც აკებისნია, რატომ გავიშვებავრეთ ასე უტერად იმ ქალქში, საიდანაც სულ რამდენიმე თვის წინათ მთვარუნდით...

...ნაქირავებ სახლში მთელ დღეებს სცენარების კითხვაში ვატარებ... რევისორებს ვხვდები. ბატონი დე ლაურენტისი სხვადასხვა რევისორის მთავაზობს, რომელთაც არ ვიცნობ. ვყოყმანობ, თავს ვიკავებ. მინდა, კარგ ფილმში ვითამაშო და ვისკონტისა და პაზოლინის მსგავსი რევისორი მყავდეს. კინოსი არაფერი გამეგება.

სინჯები დილის სამ საათამდე გრძელდება. ზოგი — ფერადი, ზოგი — შავ-თეთრი. საშუალო პლანი, მსხვილი პლანი. ნამოვედი ნამოვა... დალილი-გასაათებული ვარ...

მეორე დღეს, ნამოვადღევს, კინოჩვენების დარბაზში, ბატონი დე ლაურენტისი ჩემკენ მოდის. ძალიან გახარებულია.

— ლაბორატორია მთელ ღამეს მუშაობდა. ყველა ფირი გააქვდაღევს. შესანიშნავია. თქვენ ბრწყინვალე ხართ! შესანიშნავია... ბრწყინვალე... არ მეცერა. გავზიადებისაში იტალიელთა სიყვარული კარგად ვიცი.

შუქი კრება და ეკრანზე პირველი კადრები ჩნდება. ვერ ვცნობ იმ ახალგაზრდა ქალს, ეკრანზე რომ ჩანს, მაგრამ თანხთან საკუთარ თავს ეგოულობ მასში. კარგი მსახიობი ვარ? არა, ბრწყინვალე ნამოველიდ არა ვარ, მაგრამ უტანელღევ არ შეუქმის. ბევრი თუ თემოშვე, უტეკად ვითამაშებ. ბატონი დე ლაურენტისი თვალებით მეკითხება. ვთანხმდები. მინდა, რომ ვცადა.

კონტრაქტი გაფორმებულია. ხელშეკრულების მიხედვით, ფილმი, რომელშიც მთავარი როლი მარგუნეს, წლის ბოლოს უნდა გადაიღოს. უფლება მეძლევა, ავირიო რევისორი და, ასევე, სამი შემოთავაზებული სცენარიდან

— ერთ-ერთი, თუ რომელიმე სცენა არ მომეწონა, მასზე უარის თქმაც შემიძლია. ყველაფერი გაკეთდება საიმოსოდ, რომ ფილმი მაღალი ხელოვნების მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. ბოლო პუნქტის თანახმად, მე მხოლოდ სახელთი ნარუნდება — სორია.

მამაჩემის განწყობა მაფიქრებს. ასევე მალეღევებს შაბის რეაქციაც. შაბი ვერ იტანს, როცა მისი სახელს ჩრდილს აყენებენ.

ბატონ ლაურენტისს ვუთხრებ:
— ერთი პირობით: არავითარი ხვეწნა-კოცნა.

რომში მოდამა მოკლემეტრათინი ფილმები, რომლებსაც სხვადასხვა რევისორები იღებენ. ლაურენტისი მარმინუნებს:
— სამი მოკლემეტრათინი ფილმი უფრო ადეილია, ვიდრე ერთი სრულმეტრათინი.

სამ რევისორის მთავაზობა: მიქელანჯელო ანტონიონის, მაურო ბოლონიასა და ფრანკო ინდოვიჩისა, სრულიად ახალგაზრდა კაცს, რომელზედაც არაფერი მსმენია. ინდოვიჩა? გაბორტესტება:
— არ მინდა, ვიღაც უცნობმა რევისორმა ფილმს საღრთებ შეუქმნას. თავიდან მესამე ფილმისთვის ფრანსუა ტრუფოს გარაუდობდით. რატომ შეცვალეთ?

მისწინ, რომ ანტონიონი და ტრუფო ერთმანეთს ვერ ეწყობიან, ფრანკო ინდოვიჩი კი ანტონიონის ასისტენტი იყო და მისთვის საცესტო მისაღება.

დე ლაურენტისი გადაჭრით მეუბნება:
— უნდა დათანხმდეთ, თორემ ანტონიონიც უარს იტყვის.

რა გზა მაქვს, თანახმდები:
— კარგი, შევხედები იმ თქვენს ინდოვიჩსა.

ფილმი მილანის ეკრანებზე გამოდის... „ერთი ქალის სამი სახე“, იმის ნაცვლად, რომ ბლომად ფული მოხვებება, „ნარუნატებლად“ ფასდება. გასაოცარი კი ისაა, რომ მისი ყველა ეგზემლარი სადაღაც ქრება. შაბინშაში? მის ხელწერას ჰგავს. შაბმა კონფისკაცია გაუკეთა იმ ქალის სახეს, რომელსაც მისი ბორკილები აიხსნა.*

სპარსულიდან თარგმნა მზის ბურჯანაქანი

* შამშუდ თოლუი წიგნის სხვა ნაწილში ამ ეპიზოდის შესახებ წერს: „როცა სორია ერთ ცნობილ იტალიელ პროდუსერს დათანხმდა, რომ ფილმში მთავარი როლი ეთამაშა, შაბი ამ ამბავს გადაჭრით აღუდგა წინ და გააფრთხილა, თუ გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა, მასთან ყოველგვარ ურთიერთობას განწყვეტდა. მაგრამ მსახიობობა სორიას ახალგაზრდობის ოცნება იყო და ამ ცდუნებაზე უარი ვერ თქვა. ახალგაზრდა აქვს, ვერანა, რომ შაბის გაფრთხილება და შეძარა, როგორც ხშირად სხვა დროს, სიტყვებდ დარჩებოდა და კვლავ მოუზრუნდებოდა მასზე გული. შაბი კი ამგურად არ „პლუფობდა.“ იგი არ აპირებდა შევეუბოდა იმ ამბავს, რომ მის საყვარელ მუღულს, მის პირველ და უკანასკნელ სიყვარულსა და ირანის ყოფილ დედოფალს, რომელსაც მის უდღებულესობა და პრინცესა იხსენიებდა, ეკრანზე მსახიობი მამაკაციებთან ტრაგიული გაუმართა. როგორც კი სორიას პირველი ფილმი იტალიაში ეკრანზე გამოჩნდა, შამშა გაუფრინარ ფასად შეიძინა მისი ყველა ეგზემლარი და განადაღვრა, მსახიობობაზე ოცნება კი სორიას ველშევე ჩაუშინა.“

* ეპიზოდი შამშისა და სორიას განქორნიების შემდგომი ხანიდან, როდესაც სორია მხოლოდთან ერთად ევროპაშია.



ეკა ბუჯიაშვილი

არსებობს ასეთი ანდერკიცი

*

ნაკოპ გოგებაშვილის სკლის მოსასხენივლად

ვერ შინდისის მიმდებარედ, მემორიალთან უნდა შეეჩერდეთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ ჯარისკაცთათვის რომ დაუდგამთ ამ სოფლების მკვიდრთ, თავიანთი ხელით ააღუპართათ, ეს ჯვარი და დაცხრილულ ველზე ნაპოვ უცნობი ჯარისკაცის ჩაფხუტსა და გამსკდარ ყუმბარებში გაუსიმბოლოებიათ ბედისწერა ჩვენი ქვეყნისა, შავ დაფაზე ამოუტვიფრავთ 16 სახელი და გვარი იმ მამულიშვილებისა, კიდევ ერთ სისხლიან აგვისტოს რომ შეენიწინე, მტრისგან ნაფეხენ ქართულ მიწას რომ გადაეფარდნენ და გმირებად შეიღვინ მარადიულობაში.



ნაკოპ გოგებაშვილის საკლასო ოთახი

იენისის ცბელი დღეა. მზიანი ქარი ქრის გადაშლილ ველებზე და სახვში გვექმს სამშობლოს პაერს, საიდანღაც თითქოს კვამლის სუნნი რომ მოჰყვება.

პატარა გიორგი ჩხვიძე შემოსაზღერულ არესაც გადააბიჯებს, ახლისაც მივა შემორიალითან და თითქოს ვინმეს უსწავლებიათ, კრძალვით ჩაიმუხლებს, თვალს გაუსწორებს ჯვარს, დასაბამიდან რომ მოაქვს ქართველობას... და ნატვრის: ამ თაობამ მაინც იცხოვროს თავისი უღი და გაბრწყინებულ საქართველოში, ამ თაობას მაინც არ ექცეს ტრაგიკულ ბედისწერად „აგვისტოს შეილობა“, შეილობა აპროლისაც, მარტისაც... შეილობა პატარა ერისა.

მზიანი ქარი ქრის ქართულ ველებზე, რომელთაც ახსოვთ, იციან საიდან მოაქვს ქარს კვამლის სუნი, ასე საბედისწეროდ დატრიალებული პაერში ახლავ.

ვერ ქონგურები მოგხვდებათ თვალში, ცაში აჭრილი, ამყავდ აღმართული ოთარ ჩხვიძის მამამაპისეულ სახელზე, რღდაც ძველისძველის, არაქულის, ნარასული დიდების

სიმბოლოდ, იმ სიმაღლედ, საიდანაც ასწლეულებს სწვდება ქართველი კაცის მზერა.

მერე ამრიალულ მუხას შენიშნავთ – განტოტვილსა და გადაშლილს, თითქოს მთელ ეზოს რომ უნდა გადასწვდეს, ათწლეულებს რომ თივლის და მატთანედ ქცეულა იმ მოუღებებისა, აქაურობას რომ ახსოვს.

ოთარ ჩხვიძის შემოქმედებაში გადასულა ეს ყველაფერი თავისი პერსონაჟებთან, ქვეყნის ბედისწერის სიმბოლოდ რომ ქცეულან და გზას გვიხსნიან მწერლის სამყაროსკენ, ოთარ ჩხვიძის ამ ეზო-კარვით რომ შემოუღობა და არაერთხელ ეწვინია იმპერიული რეჟიმის შემონარცხება.

ვერ კი შევლნითა...
ამაოდ ჩავვლო ყოველ მინყფობა-მონყფობას ამ ზღუდეებთან...
ვერ მოერღვითა ეს ქონგურები...

მკვიდრი იყო საძირკველი ციხისმაგრისა, სიტყვით რომ ეშენებინა, სიტყვით რომ გაეღვინა და განმეტკიცებინა.

აქაც, ამ სამყაროშიც შრიალეობა მუხა – ქართული ფესვით ნასაზრდოები.

აქაც, მშობლიურ ჭალაში მამა-ბიძების ხსოვნის მემორიალებად დანყოილი ლოდეზივით ეზიდებოდა ჩვენი ქვეყნის უცვლელსა და სიხარულსაც.

აქაც თავისი მარადიულობა შექნა ყოველ ქვას, ჩაყრილ ვაზსა თუ თბილ ხნულს, რომელშიც იმედად და რწმენად ღივდებოდა ქართული სიტყვა, სამშობლოსთვის შენირული, ქართული ცნობიერების დასაცავად ამოზრდილი წინაპართა მინიდან.

აი, ამ საყვაროს ნაწილია ეს ეზო-კარვც, ეს „დევეების მაგიდაც“, რომელთანაც, ვინ იცის, რამდენ დიდ ადამიანს დაულოცია სამშობლო.

ახლაც სტუმრები შემოკრებილან მის ირგვლო, სოფლის ცნობისმოყვარე თვალს რომ მოუცილებია აქამდე, ახლა ფუტეა და ოჯახს რომ უდღევრძელეზენ ოთარ ჩხვიძის და ამ მინის ნაჟური ღვინით სევამენ – იმ დიდი რწმენის სადღევრძელოს, რომელსაც მთელი თავისი შემოქმედება უდუნა მწერალა.

მზიანი ქარი დაქრის ხეხილის ბადებში, მემორიალად ქვეულ ჭალაში, ყველცვეულის ძველთაძველი ეკლესიის ეზოშიც, სადაც ახლახან როსტომ და პაატა ჩხვიძეებს, თანასოფლებლებთან ერთად, ძველი საფლავები გაუთხრიათ და მზის გულზე ამოუზიდავენ ლოდეზი წინაპართა სამარეებისა, იმ პირველი როსტომ ჩხვიძისაც, იტრიადენ რომ ჩამოსულიყო ყველცქვეულში და აქ დაემკვიდრებინა ფუტე თავისი შთამომავლობისათვის.

მერე კი...
მოდიოდნენ და მოუყვებოდნენ... წინაპართა სისხლი



ამრებოდა ამ მიწას, სისხლი, ოთარ ჩხვიძეს შემოქმედებ-
ში რომ გააღწედა, ახლა იქ ამხედრდებოდა, იქ დაუნყებ-
და ძიებას თავის გზასავალს... და გაიკვალავდა კიდეც.
იმ გზაზეც მზინი ქარები ქრდა... და სამშობლოს პაერი
სცემდათ სახეში მტკიცე ნაზიჯით მიმავალ მგზავრებს.

ისე როგორ იქნებოდა...

აბა, ისე როგორ იქნებოდა, აქეთ წამოსულს ვარიანშიც
არ შემოველი, იაკობ გოგებაშვილის სახლთან მომუხრუხე
ცივი და ანკარა ნყაროთი არ გაგრილებულიყო და შერე
შენც არ ეტყვი ამ რიტუალის მონაწილე.

ტრადიცია უკვე ეს ყველაფერი როსტომ ჩხვიძისთ-
ვის, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისთვის და
ყველა იმ ადამანისთვის, ვინც თუნდაც ერთხელ ზიარე-
ბია ამ მაღლს.

ტრადიციის ერთგულება ისიც, რომ ყველი ზაფხუ-
ლის დასაწყისში ისინი იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუხუ-
ვუმს სტუმრობენ და ამ დღეი მოვლანის მოსახსენიებელ პა-
რაკლის იხიდან. ახლაც, გოგებაშვილია ეზო-კარზე აშე-
ვლილ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში მამა თადეოზ
ქებაზე აღაულებს წირვა-ლოცვას... და იაკობ გოგებაშვი-
ლის ღვალზე რომ ისაუბრებს, მის წმინდანად შერაცხვის
აუცილებლობასაც აღნიშნავს.

იმუნენ შეკრებულები (რელიციონარად ამაყები, რაღაც-
ნარად სვედიანებიც) მარიამ, ნატო, როსტომ და პაატა
ჩხვიძეები, მაცა ჯაფარიძე, რატი და გიორგი ოუთაშვილები
და ელისაბედ ჩხვიძე, ლევან ბრეგვაძე, ივანე ამირხანაშვი-
ლი, უსა შერვაშიძე, ნინო ვახანიძე, ნინო დეკანოზი,
ქეთევან, ელენე და აკაიო ფანჭულაშვილები, კოკი, ნათია
და ლია ასანიძეები, ლევან, ეკა და გიორგი ჩხვიძეები, მურ-

მან ჩაჩუა, ლევან კიკნაძე, მარინე გიგაშვილი, კარლო
ცერცვაძე, მაღალა გონაშვილი, მაღალა დედეიანიანი,
დავით გიორგობიანი, დავით ტყემელიაძე, თემურ
მესალაშვილი, ზვიად მაშალაშვილი.

მადლი ავსებს მათ გულებს, ტაძარსაც ავსებს და... მე-
რე მთელ სოფელს, მთელ ქვეყნიერებასაც მოსდებს ამ
მადლს ვარიანული ქარი.

საერთოდ ქარიანი ყოფილა ვარიანი...

ქართველები არ დაუკლია მისთვის დროებასაც – იმ
რეჟიმსაც, ერთი ქართველი კაცია მარტოდმარტო რომ ამ-
ბოხებოდა, მარტოდმარტო რომ ჩასდგომოდა კრიჭამი,
მხრებით მოპქონდა წმიდათაწმიდა სამებად გასიმპლო-
ეებული ბურჯი ქართული ცნობიერებისა და ფრად დად-
გომოდა ენას – საძირკველს ეროვნულობისა.

აკი ამიტომაც ის თვითონაც ერისა და ეროვნულობის
ბურჯად ესახებოდა ოთარ ჩხვიძეს.

აკი ამიტომაც ანდრეაძე დაებარებინა შვილებისათ-
ვის: გოგებაშვილს მიმიხედეთო. მის სამყაროს გაუფრ-
თხილდეთო.

იაკობ გოგებაშვილის სამყაროში შეგვიძლება მუხუ-
მის თანამშრომელი ნათია ადუაშვილი. ამ ფუძეზე თავისი
წილი ციხე-სიმაგრე აუგო ერისკაცს, ციხესიმაგრე ქართუ-
ლი ცნობიერებისა, რომელსაც მტრისთვის კარი არსათი
ედა ვერც შეეღწეათ.

ჰოდა... ისე როგორ იქნება, ამ გზაზე მოხვედრილმა
აქეთაც არ შემოიაროს ქართულმა კაცმა, დღეი მოვლანის
სული არ მიიხსენოს, ქართული სათავეებიდან მოჩუხუ-
ხე ნყაროებით არ გაგრილებდეს...

ახლა სხვა ქარი შესწინია ანკარა ნაკადულებს, ახალი
დროების ქარი ცდილობს მის ამღვრევას, თუმცა აქაუ-
რებს ეს არ აზინებთ.

საერთოდ ყოველთვის ქარიანი ყოფილა ვარიანი.

პულსარაჟი

გორხასს სამოგლობი
დაბრუნებას უპირაბე

არგენტინაში პერონისტმა დეპუტატმა მარია ბუატრის
ლენცმა პარლამენტს შესთავაზა, მიეღოთ გადაწყვეტილება
მწერალ ხორხე ლუის ბორხესის (1899-1986) ნების
გადასვენების თაობაზე, რომელიც ამჟამად ეწინევაში, პლენ-
პალეს სასაფლაოზე განისვენებს. წამოწყებას მხარი
დაუჭირა არგენტინელ მწერალთა საზოგადოების თავმჯდო-
მარემ ალუბანდრო ვაკარომ, რომელიც ირწმუნება, თითქოს
პოეტის ახალგაზრდობაში გამოთქვას სურველი დაკრძალუ-
ლიყო საოჯახო აკლდამაში ბუენოს აირესის რეკოლტას
სასაფლაოზე. ბორხესის ქერვის – მარია კოედამას –
მკვეთრი პასუხი კი ასეთია: „დემოკრატიულ საზოგადოებაში
არც რომელიმე პარტიას და არც ცალკეულ პიროვნებებს
უფლება არ აქვთ შეეზონ ისეთ წმიდათა წმიდას, როგორიც
ცხადარაი“. პირველი მწერალი მართი მარგას ლიოსა პერო-
ნისტების ამ ინიციატივას „სახარულ მოქმედებულ ფარსს“
უნოდებს და მიიჩნევს, რომ აკს იდეა თვით არგენტინის
პრეზიდენტ კისტიბა ფერნანდეს დე კინსეროსა და მისი
მეუღლის, ეკს-პრეზიდენტ ნესტორ კორნესისგან უნდა

მოდოდეს, თუმც კი მათი ხელისუფლება სინამდვილეში იმას
განასახიერებს, რასაც ბორხესი მთელი თავისი ცხოვრებითა
და შემოქმედებით ებრძოდა და უპირისპირდებოდა: დემა-
გოკიას, პოპულიზმს, ცუდ გემოვნებას და უულგარეულობას“.

უთანამოებო მწერალმა და პერონიზმს შორის გასული
საუკუნის 40-იანი წლებიდან მოდის, როდესაც ეგერალ ზუან
პერონის პრეზიდენტობის დროს ოპოზიციონერ ბორხესს 1946
წელს დაატყვებეს სამსახური ეროვნულ ბიბლიოთეკაში და
ბაზრებში ფრინველთა ინსპექტორად გაამწყესს.

„საყოველთაო უმასობათა ისტორია“ ავტორს დიდახს
არ სცნობდნენ თავის ქვეყანაში. იგი მკვლად 60-იანი
წლებიდან, ფრანგი როჟე კაიოუს თარგმანების წყალობით
იხეჭქს სახელს.

„საყოველთაო უმასობათა ისტორია“ ავტორს დიდახს
არ სცნობდნენ თავის ქვეყანაში. იგი მკვლად 60-იანი
წლებიდან, ფრანგი როჟე კაიოუს თარგმანების წყალობით
იხეჭქს სახელს.

ფრანგულად თარგმნა
ლია რუსუაძე



გუზაზ მეგრელიძე

კონსლიტატი სანდრო ახმეტელსა და სიმონ ჩიქოვანს შორის

ეს საბუთი ასახავს სანდრო ახმეტელისა და სიმონ ჩიქოვანს შორის მომხდარ კონფლიქტს. იგი ჯერ კიდევ 1928 წელს დაიწყო, როდესაც ამ უკანასკნელმა ტენდენციურად გააკრიტიკა რუსთაველის თეატრის მალაღმბსატრული სპექტაკლები "რღვევა" და "ანზორი". იმდროინდელი ჩიქოვანი ფუტურისტ მწერალთა დაჯგუფებაში შედიოდა. ისინი ნიკოლის ტურაძე იყვნენ განწყობილი კლასიკური ნაწარმოებებისადმი (სხენებელი პიესები დანტის ეპიკური დრამის ფორმით და შეიცავს კლასიკური დრამის კომპოზიციურ ელემენტებს). ს. ჩიქოვანმა არ მიიღო ს. ახმეტელის მიერ შექმნილი სტილი. 1928 წელს გამართულ საქართველოს მწერალთა ცრილობაზე მან "რღვევას" ობიექტულური გემოვნების სპექტაკლი უწოდა, უარყო საინტერესო რეჟისურა ("ჩვენ იქ ვერ ვნახეთ რეჟისორი").

იმავე წლის თურნალ "მემარცხენეობის" მეორე ნომერში გამოაქვეყნა წერილი უტაქტო სათაურით: "ერთი ტვინის ევოლუცია", რომელშიც დაუსაბუთებლად უარყო ს. ახმეტელის მოსაზრებები. სპექტაკლ "ანზორის" შესახებ დაწერდა რეცენზიას სიმონ ჩიქოვანი ასე ამთავრებდა: "ასეთია დაახლოებით ის თეატრალური ვანკანალია, რომელსაც "ანზორს" უწოდებენ. დამარცხება უნდა აღიარებულ იქნას დამარცხებლად, ქართული ხელოვნების ყოფაში მოსიძოს სადღერძეობაზე მხატვრული შემოქმედების დაფასება და ნათლმამობა".

ბუნებრივია, ასეთი არაობიექტური, პირად შეურაცხყოფამდე მისული შეფასება ფეთქებდა ხასიათის მქონე ს. ახმეტელს გააღვიძებდა.

ამას გარდა, 1933 წელს დაიწყო ახალი უთანხმოებანი ს. ახმეტელსა და მწერლებს შორის. კამათი მიმდინარეობდა ქართული თეატრისა და დრამატურგიის ურთიერთობის, რუსთაველის თეატრის სტილის შესახებ. შექმნილი ვითარება ნათლად გამოჩნდა იმავე წლის 19 აპრილს გამართულ მწერალთა რესპუბლიკურ თათბირზე. თავის გამოსვლაში ს. ჩიქოვანმა აღნიშნა: "როდესაც გმირულ თეატრს ქმნით, საიდან იღებთ საფუძველს. დასაყრდენი სად გაქვთ, რა დრამატულ მასალაზე იწყებთ მუშაობას. ჩვენი თეატრის ავტორიტეტობას წარმოადგენს, რომ ის დრამატურგიას ეყრდნობოდას. ამიტომ ვუთქვი, რომ ჩვენში არსებობს ცალკე სპექტაკლები და არ არსებობს თეატრი".

შეუძლებლია ასეთ შეფასებას დაეთანხმო, როდესაც ამ ხანებში თეატრმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ვფიქ-

რობთ, მსგავსა ტენდენციურმა შეხედულებებმა განაპირობა მოგვიანებით მომხდარი კონფლიქტიც, რომლის ოქმი მკითხველს დაინტერესებს (საქ. ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივი. ფ. 8, ანაწერი 2, საქმე 16).

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სიმონ ჩიქოვანის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ გამოსთავთ თქვენი მსჯავრი ახმეტელთან მომხდარ ინციდენტის გამო.

სიმონ ჩიქოვანი
5 ოქტომბერი 1933 წ.

ო ქ მ ი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაჯართობული სხდომისა საბჭოს წევრებთან და პეტროვან ერთან.

20 ნოემბერი 1933 წ.

დავანრინე: ა. მ. მ. ტორაშვილიძე, ნ. მინიშვილი, დ. დობროტაძე, პ. ჩიქოვანი, ბეს. ჯენტი, დ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიჩაძე, მ. ჯავახიშვილი, რ. გვეტაძე, ს. თალაკვაძე, მ. რაფიანი, ი. ლისაშვილი, კობოხიძე, ბ. გ. ზუაფიძე, ს. უელი, სულიაშვილი, მ. დადიანი, ს. შანიშაშვილი, ტ. ტაბიძე, ირ. აბაშიძე, პ. ქიქოძე, გ. ნატროშვილი, ბენაშვილი, საბჭოს წევრთა და პეტროვის უმრავლესობა.

თავმჯდომარე: მ. ტორაშვილიძე
მდივანი: ნ. კლდიაშვილი

მოსიზინეს: ა. მ. მ. ტორაშვილიძის ინფორმაცია ცეკას დადგენილების შესახებ, რომელიც ეხება, საერთოდ მწერლებისა და რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელის ა. მ. ახმეტელს. კერძოდ კი ჩიქოვანსა და ახმეტელს შორის მომხდარ ინციდენტს. ა. მ. ტორაშვილიძე აღნიშნავს, რომ ცეკამ გამოიტანა საკმაოდ მკაცრი დადგენილება ამ საკითხის ვარშემო გამოწვეულ არანორმალური ურთიერთობის შესახებ. ამ მიზნით, რომ გამოახსნულ იქნეს საერთო ენა მწერლებსა და რუსთაველის თეატრში მომუშავე ზოგიერთ ამხანაგს შორის, არ მოხდეს ჯგუფობრობა, როგორც, მაგალითად: ა. მ. ქიქოძის მიერ ახმეტელის წინააღმდეგ განცხადებაზე ხელის მოწერის ჩატარება, რითაც ადგილი ჰქონდა ჯგუფობრობის განახლების ცდას. ცეკა აღნიშნავს, რომ რუსთაველის თეატრი არის საბჭოთა თეატრი და მწერლებმა კავშირი უნდა იქონიონ ამ თეატრთან და არ მოხდეს ისეთი გამოსვლები, როგორც მაგალითად ჰქონდა ადგილი ა. მ. ახმეტელის ხელმძღვანელობით მოსკოვში რუსთაველის თეატრის ყოფნის დროს. ცეკა ასეთ საქციელს არ დაუშვებს, როგორც პარტიულ, ასევე უპარტიო ამხანაგების მიერ, ვინაოდან რუსთაველის თეატრის



სიმონ ჩიქოვანი

ხელმძღვანელს ახ. ახმეტელს მწერლების ერთი ჯგუფი ისეთ პირობებს უქმნის, რომ იგი მიიყვით ისეთ უხერხულ და ვულგარულ მოქმედებაში, რომ მწერლებს დიუკორდაც ექნება. ცეკა აგრეთვე საყვედურს უცხადებს ახ. ნაროშვილს და ზომილოვს, რომლებმაც ფრეციის გასულ სწოლობა ახმეტელის წინააღმდეგ საყვედურს და გულისწირვას გამოსთქვეს. ახ. ტროსკელის აღნიშვნას, რომ ხელისუფლება და პარტია მწერლობას შემოქმედებით მუშაობისათვის საყვედურს უქმნის და უნებს ყოველგვარ დახმარებას მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად. ამ დროს კი მწერლობა ენება ჯგუფობრიობის შექმნას, რომელსაც პარტია დაუნდობლად ებრძოდა და ებრძვის დღესაც. ასეთი გამოსვლებისათვის არაფერს ზოვავს. ამას ჩვენ ვერ დავფარავთ, ვამხელთ და ძირშივე ევედებით აღმოფხვრათ.

ზემო აღნიშნულის გამოსწორების მიზნით ცეკამ დაადგინა — მოწვეული იქნეს დეკამბრის თათბირი ხელეულების საცილებზე. ვაჟიორკეს ის კონფლიქტები და უსიამოვნო მოვლენები, რომლებიც დღეს ადგილი აქვთ მწერლებსა და რუსთაველის თეატრში მომუშავე ზოგიერთ ამხანაგს შორის. თათბირის ორგანიზაცია ცეკამ დაავალა ახ. ორაველიძეს და მ. ტროსკელს.

ახ. შ. ქიქოძეს ცეკამ გამოუტანა სასტიკი განაჩენი მის მიერ ჯგუფობრიობის ცდების შესახებ და იგი ტფილისის ორგანიზაციული მუშაობიდან მოხსნილ იქნა და შიავილია რაიონებში.

ახ. ტროსკელიც ხალხს უხვანს იმ გარემოებას, რომ ცეკას დახვედრება სწორია და იქ აღნიშნული ფაქტები სრულ სისწრაფეს წარმოადგენენ. ამიტომ მის უკერავინ უფულებულებს. მომავალში საჭიროა ასეთი რამ აღარ განმეორდეს, როგორც მწერლებს, აგრეთვე ხელეულების სხვა დარგებში მომუშავე ამხანაგებს შორის, პარტიული იქნებათ თუ უპარტიოები.

ახ. ტროსკელის ინფორმაციის გამო მწერალთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოითქვა. კამათი მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა:

ახ. ლ. ნორმინიშვინი — იმის გამო, რომ მწერალთა კავშირის ზოგიერთმა წევრებმა ხელი მოაწერეს ახმეტელის უხერხულ და დამუხმებელ მოქმედების წინააღმდეგ დაწერილ განცხადებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერლობა მოქმედება ცეკასა და პარტიის წინააღმდეგ, არ აფასებებს მისდამი ხელისუფლების ყურადღებას. მწერლობა სრულად იხედვარ რომის არავითარი ჯგუფობრიობის შექმნას.

ახ. ს. შანშიაშვილი — აღნიშნავს, რომ საერთოდ, მოქალაქე ახმეტელი მწერალთა მიმართ არ არის კეთილსინდისიერად განხილული, რომ მან შექმნა დრამატურების შორის ისეთი აუტანელი ატმოსფერო, რაც არავის არ უნდა ევატობოს. ეხება იმ ფაქტს, თუ როგორ უხდის საერთოდ ავტორებს კუთვნილი პირობების, რომელიც მათ ძირითად გასარჩევლს შეადგენს და რომ ცეკამ დიდ დახმარება გაუწია დრამატურების რუსთაველის თეატრიდან კუთვნილი პირობების მიღების საქმეში. ახ. შანშიაშვილი ფიქრობს, რომ ცეკას ახმეტელის მოქმედების შესახებ დადგენილების გამოტანის დროს არ ჰქონია სწორი ცნობები. ამიტომ იქ გამოიხატებულნი უნდა ყოფილიყვნენ არა მარტო ახმეტელი და ქიქოძე, არამედ მწერლებიც და დრამატურებებიც, რომ ახმეტელის წამებულ სახე გამოჩინდებოდა. აგრეთვე ეხება მოსკოვის შიავილიზებს, თუ რა ჩაიდინა ახმეტელმა იმ მიზნით, რომ ავტორებისათვის კუთვნილი პირობები არ მიეცა, როგორც გამოაცხადა საკუთარი



სანდრო ახმეტელი

თავი ყველა პიესების თანაავტორად, როგორი შეურაცყოფა მოაყენა მან პირად შანშიაშვილს და დადიანს, რომ მათ პიესებზე დრამატურად თითქმის მთელი გასტროლები და ამავე დროს იგი იწუნებდა მათ. აგრეთვე, მოქალაქე ახმეტელმა მოსკოში ყველას გასაცანად განაცხადა, რომ მას საქართველოში კულცივიტური დრამატურები არ ყავს.

აგრეთვე ეხება იმ ფაქტს, რომ მოქალაქე ახმეტელმა, როცა ავალმუშის ქვერემა იჩილა "ყაჩაღის" თარგმანის შესახებ, მან შანშიაშვილს მისცა ცნობა, რომ ის თარგმანი რომელსაც ეძღა რუსთაველის თეატრი დგამს, არის შანშიაშვილის, ხოლო როცა შანშიაშვილზე მოუვიდა გული, მან კეხი შეაბრუნა და მონებმა მისცა ავალმუშის ქვერეც, რომ ეს თარგმანი ეკუთვნის მის განსვენებულ ქმარს. ეს ახ. შანშიაშვილს მიანიშნავდა და უმუხვლად და მოუტეველად. ახმეტელმა ისეთი სილა, როგორც დრამატურებს გაარტყა, კერძოდ კი შანშიაშვილს და დადიანს, არც სიმონ ჩიქოვანს მოხვედრია და არც არავის. საციობი ახმეტელისა და დრამატურების შესახებ არის სასამართლოში და ახლოს ხანს აღბათ გამოირკვევა, თუ ვინ სტყვის და ვინ მართალია. საერთოდ ახ. შანშიაშვილს მიანიშნა, რომ ძირშივე მოკეთილი და აღმოფხვრილი უნდა იქნეს უხეში, თავებდური გამოსვლები ყველას მიერ და მიუ უმეტეს ახმეტელის მიერ.

ახ. შ. ჭიჭინაძე — გულისკვილით აღნიშნავს, რომ თითქმის მთელის შორის ჯგუფს ახმეტელისათვის მიუყენებლის დაუმსახურებელი შეურაცყოფა, ხოლო ახმეტელი ყველას მიმართ ძალიან კეთილსინდისიერად იყო განწყობილი. ცეკა აღნიშნული დადგენილების გამოტანის დროს ხელმძღვანელობდა თუ არა თათბირზე შედგენილ საქმიანდროულ ანგარიშებით, საიდან გამოიღწერებოდა ის აზრი, რომ თითქმის მწერლებმა შეურაცყოფა მოაყენეს ახმეტელს და ისეთ ზომიად მიყვანეს, რომ მას სხვაინდარე შეუძლო

მოქცეულიყო, თუ არა ის, როგორც მოეცა ახ. ს. ჩიქოვანს.

ახ. შ. ლაღვიანი — ეხება მოსკოში მომხდარ ამბებს და საჭიროდ მიაჩნია კომისიის გამოყოფა ახმეტელის მოქმედების დღის სინათლეზე გამოსატანად და საქმის საბოლოოდ გამოსარკვევად.

ახ. მ. ტროსკელი — აღნიშნავს, რომ როგორც ახმეტელი ცეკამ იყო გამოიხატებული, მან თქვა, რომ მწერლების ერთი ჯგუფი მისი პრესტიჟის დაცემის მიზნით ყოველ ზომებს ემართებოდა. ცეკა დაურწმუნო მის განცხადებას. სხვაინდარე არც შეეძლო მოქცეულიყო, რადგან ეს არის ცნობილი საბჭოთა თეატრის და მისი დახმარება მოთხოვნა როგორც პარტულს, ასევე უპარტიო მწერლებს. ცეკას აუცილებლად მიანიშნავდა იმის გამოჩნების მიზნით განმეორებითი თათბირი მოინდობის, რათა იქ მწერლები უფრო გამეორებულად და წინასწარ გათვალისწინებული მოსაზრებებით გამოიხედნენ.

ახ. მ. ლევიტარამ — ის გარემოება, რომელიც შეიქმნა ახმეტელსა და ზოგიერთ მწერალს შორის, არ არის ნორმალური. ცეკას დადგენილების ის მუხლი, სადაც უპარტიო თათბირის განმეორებითი მოწყობაზე, აგრეთვე ამხანაგების მიმართ გამოცხადებული სხვადასხვა სახის საყვედური, სრულად უნდა იქნეს მიღებული და ცხოვრებაში გატარებული. მომავალი მუშაობის სწორ და სასურველ წინადადება დაყენების მიზნით დადგენილება უნდა იქნეს მიღებული.

ღაბღმინას: ცეკას დადგენილება მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და იქ აღნიშნული მუხლები გატარდეს ცხოვრ-



ბაში, რათა თვითკრიტიკა უფრო ღრმად გაიშალა და აშხანაგებს შორის მტკიცე ურთიერთობა დაეყარა.

დეკემბრის თვეში თანახმად დადგენილებისა, მოწვეულ იქნეს თათბირი ხელშეწყობის საკითხებზე.

ამ სხდომით კონფლიქტი არ დამთავრებულა. კანაითი გაგრძელდა სხვა შეხვედრებზე, სადაც სიტყვით გამოვიდა აკ. ვასაძე, რომელიც ს. ახმეტელის თანამოაზრე, უახლოესი მეგობარი და თეატრის ინტერესების დამცველი იყო. ეს სიტყვა, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა აკ. ვასაძის შთამომავალმა გიორგი ვასაძემ გადმოცა. იგი მნიშვნელოვანია იმით, რომ აკ. ვასაძის წინამორბედს ახმეტელის დადგმის კონცეფციას, მიესის იდეურ მნიშვნელობას და თეატრის პოზიციას.

„ს. ჩიქოვანისთვის რუსთაველის თეატრში რაც არ უნდა გააკეთა, არ ჩასაყ სადღერო ახმეტელის ნაწილობრივად, ბუნებრივია, ბუნდოვანია. ს. ჩიქოვანისთვის „ანზორი“, რომელიც რუსთაველიურ სპექტაკლადია ცნობილი მთელ საკავშირეო მასშტაბით და რა თქმა უნდა ბუნდოვანია მისთვის „თეთრულდის“. ბუნდოვანია მისთვის მოხსენებაც, მაგრამ ეს უმთავრესად მაინც მოხსენების კრიტიკაა შეუდგა და ერთხელ კიდევ დაერწმუნდი, რომ საერთოდ თეატრალური და ხელოვნების საკითხები ს. ჩიქოვანისთვის ბუნდოვანია.

სიმონ ჩიქოვანისთვის, რომ „თეთრულდის“ პირველი ვარიანტიც ბუნდოვანი იყო ამას მტკიცებდა არ უნდა, როდესაც იგივე ვერაიოვან განსხვავებულ ვერსიას ე. დღიანის მეორე ვარიანტთან შედარებით, რომელიც უნდა ჩვენი სპექტაკლის ტექსტია.

ს. ჩიქოვანს, რომ საერთოდ დაკვირვების უნარი ჰქონდეს, იგი მაშინ დადიანის „თეთრულდის“ პირველ ვარიანტში დაინახა და ყალბ ადგილებს ფორმალურის შხრით, რაც შემდეგ ჩვენთან შეთანხმებით შალვა დადიანმა სძლია თავის მეორე ვარიანტში და ნაწილად წარმოჩნდა, თუ რაც შეიძლება ამ მასალისგან მიღულ თეატრის დამუშავების პროცესში. სახელდომრ ქორის ძველი კლასიკური ტრაგედიის ყალბობა, რომელიც მუსიკაშია და ყალბი იყო. მეორე, „თეთრულდის“ სულთ დღაბარაკი არცოდნის სიხშირით უწყვეტად უხვირო იყო იმ დიად იდეისათვის, რაც პიესის დედაწარს შეადგენს და მესამე, უარყოფითი სურათებითა და ადგილ-ადგილ სპეციფიურ სეანურ მოვლენათა ამხელა დიალოგით, პიესას ძირს ეწყოდა და „ნითად ხალტურის“ მნიველს აყენებს.

სიმონ ჩიქოვანს, რომ ამას დაწახვის უნარი ჰქონდეს, მაშინ დაინახა „თეთრულდის“ უკანასკნელ რედაქციას, სადაც ბაბუის და ახალგაზრდების ორი ქორის სულ სხვა კონსტრუქციით გამოიშა, ვიდრე ელნორ ტრაგედიაში და დრამატული ფორმის შხრით იგი ჩვენი აზრით, ტრადიციულ ქორის ფორმას დაძლედა. ახალგაზრდების ქორი, ბაბუის ქორისთან დაპირისპირებით, თავის ზღმის პროცესს გადმოცემს. ბაბუები კი პირიქით, თავიანთი დამღის პროცესს გვიჩვენებს. ს. ჩიქოვანს ეს არ ესმის.

მას ისიც არ ესვენია ბაბუები სეანებით არიან თუ არა. ბაბუები სეანებით ოფიციალურად 1867 წლამდე არსებობდნენ. მათი ფუნქცია დღესაც ეკლესიაშია და სიძველეთა დაცვა-მოვლის გამოხატება — ენ. ხვიცი ბურის შავჯარის წარმოადგენენ. ჩიქოვანი იმბაში მართალი, რომ ჩვენს მიერ სცენაზე გამოყენებული ბაბუები სეანებით დღეს აღარ არსებობენ. ვინა ამოყვენი შეიცვალდა ან იდგის, ან ფორმის შხრით? პიესა უფრო გაეაღრმავდა და ძველი სეანების იდეურ ბაბუები, რითაც ის ემარტვის დღევანდელ საბჭოთა სეანებს, უფრო საამაჟროზე გამოვიყენებთ. სწორედ ბაბუები ძველი სეანების ქორი, რომელსაც კარგად ესმის, თუ რისთვის იმბრების საბჭოთა მთავრობა და გელახანებია. სეანეთში, — ვკვი, რომ ისინი სეანე-

ბია, ვისაც სურს ჩვენი მოთების მყუდროება შეხალაონ რკინის ხმაურით — მთავრობა ჩვენთვის ყველა ერთია... მაგრამ ესე-ბა“ იძიანის მოთხზე ბაბი, იხსენი ჩვენი ოჯახში“ ევედრება შეხუთი, ათუ შეე მოხუცს და შეგიძლიან, მოიმბნება მეს ოჯახში შურის მძიამებლად, გააყოლ თეთრულდეს, ხელი უკან, გა-დახატურის იგი იგივე მოვიდა მისთვის რომ განგაძაროს სულ-ლორის ჩვენი სამსულოდნად, დავკალბაროს და შემდეგ ჩვენი ნიხიარზე ახიხიითის თაენართმევიანა“. ხედვე სიმონ რა ძნე-ვად გამოხატვობი შარადა მოუგონია რუსთაველის თეატრის გონიერ აღმამიანისთვის ბაბუების სახით და ჩვენ შენისთანებისთვის გასაძრავდ იარლივი რომ დავენროთ, მაინც ვერ გაიგებს და ან ღირს კი შობამდე?

სიმონ ჩიქოვანისთვის ბუნდოვანია რაღაც ფორკურდანი ნასვლა და ეთნოგრაფიული რიტმის, თუ მოძრაობის პათეტიკამდე აყვანა. თან ამბობს მევერელი უფრო მითილია, ვიდრე სვანი და სვანი უფრო სტატურად მოძრაობს ვიდრე მეგრული და თქვენ ეტ ხტუნავს სტატურაზე. თუ სვანი უფრო სტატურია, ვიდრე მეგრული ეს ჩიქოვანის გამოკვლევაა და თუ სიმონ ჩიქოვანი გვეგრძობის იმისთვის, რომ ქართული სპეციფიკური რიტმი და მოძრაობა პათეტიკამდე აყვავს, ვამა ჩვენს ვაკე-კოხას! ეს სეპე არც ისე ადვილი და ხელნაშაპსაკრავია, რომელიც ბერ უკაცს ეკონია.

დღემდე ყველა თეატრი დღემანის ზურგზე სა მთავად მოძრაობას იცნობს სცენაზე ბერძნულ-ელონობის მომგველ-ბული მოძრაობა, რომაულ-იტალიანური ანარხიული, ანუ მოკლ ვესტრანი მოძრაობა და თუ ჩვენ შეეძლია ქართველი კაცის მსურავი, პარმონული მოძრაობა, რომელიც თითქმის ფეხს არ აკავებს დღემანისაზე ისე დადის. ან, ამის ორგანიზაცია ნაწილობრივ თუ მაინც შეეძლება, რველუციურ-სოციალისტური ხელოვნების წინაშე დამანაშავენი ვქნებოთ? არა მგონია. ვისაც სცენაზე და საერთოდ ხელოვნებში მოძრაობის ორგანიზაციის რაინდების, მათ ეს რუსთაველის თეატრის დიდ დევნაში ჩაუთავალეს სრულიად საკავშირო ოლიმპიადაზე.

უნდა განვიხილოთ, რაა ნათელი სიმონ ჩიქოვანისთვის „თეთრულდში“ ჩემთვისაც ნათელია ამხ. ჩიქოვანი, რომ თქვენ ვერც მუსიკის ფუნქციამდე პროლოგში. ჩვენ მუსიკის დანიშნულება ასე ვგვიშობა და ასე ვანახორციელით კვიცი, რომ მუსიკა ისეთად რეპლიკა, როგორც სიტყვიერი და არა ილუსტრაციული სიტყვისა და მხატვრობის განცდილს სცენაზე მუსიკალური შეკამათება ძველი და ახალი სეანეთის უფრტიურში, მუსიკალური შეკამათება პროლოგში. მუსიკალური რეპლიკა შაორის ღლინი მითხებ სურათში გელახანის სცენაში. მუსიკალური შეკამათება ახალგაზრდების „ძქლს ახალი ვიკრევიწია“ და ბაბუების „სობრედალეს სორთმწიამი“, მუსიკალური დიალოგი ბაბუების მეორე აქტში გელახანის გამგაზრდების წინ, როდესაც ერთ სიტყვას არ ამბობენ არც სიმღერაში, როდესაც სოთრანი ავეჯანებს და გელახანის არ მიპყვება თეთრულდეს და მუსიკალური შეკამათება მეორე აქტის ფინალში. „თეთრულდში“ ორნა ტრუსია მუსიკა იმდენად დაკვირვებითა და მოფორებით აქვს დაწერილი, რომ იგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. აიღეს, სეანური სტივირ გელახანის სცენაში და დღის ვლოვა მესამე აქტში, ბაბუების მუსიკაც რომ ამ გაეისსენით, რომელიც ჩემი აზრით მუსიკალურ ხელოვნებში ტრადიციულ პარმონი ზირებულ ხალხურ სიმღერათა დაძველის საუფიოი ნიშნობია. მაგრამ ს. ჩიქოვანმა სხვა რა გაიგო, რომ ეს გაეგო! მას თურმე ასე სცოდნია, რომ ტრადედიამი კომიკური ელემენტის შეტანა აუკმაღელ-ლია. ვინ უხერა ეს? ჯერ ერთი „თეთრულდით“ იმით ვამა-ყობთ, რომ ჩვენი აზრით, იგი ძველი ტრადიციული ტრადედიის დაძვევაა. დრამატურულიადაც და სცენურიადც ტრადედიის ახალ პრინციპებს აყენებს. მეორეც, მუსიკის რთული ტრადედიაც არ უნდა აიღოს, რომ უშაღლეს ტრადედიულ მო-

მენტებს წინ კომიუნური სცენები არ მიიღოფს და პირიქით, აიღო „ამპლტაი“ აიღო „ოტტოლო“, აიღო „მაკეტაი“, აიღო „ლორი“ და რამდენი დავთალა!

და ბოლოს, სიმონ ჩიქოვანმა მიიღოფის თეატრი გვიწოდდა და იტირა, რომ ამით ჩვენ დიდად შეურაცდევო ახს. სიმონი ვინ შენ ეს ფრანა მოგანოდა, იმ შენს შეგობრებს გადაეციო, რომ ვინც მთაში ვარდა, ის პარკიც ივარყებდა ვაი იმას, ვინც ბარში ან კუტაია, ის მთაზე თავის სიცოცხლეში ვერ ავა და შენი ჭკუის დარიგება, რომ ჩვენ სავანი უნდა შევისწავლოთ და ისე უნდა გამოვიდეთ სალაპარაკო, ჩვენ არ გვჭირდება. შენი ჭკუა და გამოცდილება კვლავაც მათ მიზნადგან, რომელთაც საქართველოში პრინციპული თეატრალური ბრძოლა, თეატრალური ინტრიგისა და ჭორიანობის საშუალებად გადააქციეს.“

ამ სიტყვაში აკ. ვასაძე საუბრობს პიესის სცენური ვარიანტის შემუშავებაზე, ცალკეული სცენების რეჟისო-

რულ გადაწყვეტაზე, მუსიკალური გაფორმების მნიშვნელობაზე, სცენური მოძრაობის მნიშვნელობაზე და ს. ჩიქოვანის პოზიციის მცდარობაზე, რომელიც სპექტაკლის ობიექტური განხილვიდან კი არ გამოიმდინარებოდა, არამედ რუსთაველის თეატრის მონინააღმდეგე ჯგუფის პოზიციის გამოხატავდა.

ამ პერიოდის შესახებ აკ. ხორავა იგონებს, რომ მარჯანიძის მიზნობითან ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო და რუსთაველის თეატრის წინააღმდეგე დაჯგუფებები შეიქმნა.

აკ. ვასაძეც აღნიშნავს, რომ „თეთრულდის“ დადგმა თეატრის გარშემო შექმნილ რთულ სასოჯადოებრივ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. სწორედ ამ ვითარების ამსახველი მოყვანილი ორივე დოკუმენტი და ნათლად წარმოაჩენს არსებულ თეატრალურ დაპირისპირებებს.

დეტაქტივი

ლორენს ბლოკი ამერიკელი მწერალია. დაიბადა 1938 წელს, ქალაქ ბუფალოში. 18 წლისა უკვე მუშაობდა უმცროს რედაქტორად ნიუენს გამომცემლობაში. 20 წლის ასაკიდან მთლიანად მწერლობას მისდევს. გამომცემული აქვს დეტექტიური რომანები და მოთხრობათა კრებულები: „პორნოსურათების საქმე“ (1961), „პირველი სიკვდილის შემდეგ“ (1969), „დაბოლოებული ჯიქის სახლის“ (1981), „გამტეხი, სპინოზას რომ სწავლობდა“ (1983) და სხვ. 1979 წელს მიენიჭა ნირო ვულფის სახელობის პრემია მოთხრობისათვის „ქურდი, რომელსაც უყვარდა კობლენის ციტრიზა“.

ლორენს ბლოკი

წყურპილი სიკვდილისა

პოლიციელმა დაინახა, რომ მანქანა შეჩერდა ხიდზე, მაგრამ მაინცდამაინც არ შეუჩერებულა. გამვლელებს უყვართ დაყრდნობა მოაჯირზე – განსაკუთრებით გვიან საღამოს, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობა მიწყდება; მათ შეუძლიათ განმარტობებით ყოფნა და არ უფრთხიან, ვაით რომელიმე ობუნჯმა მძღოლმა გამაყრუებელი სიგნალით შეგვაშინოს. მოხდენილი ფოლადის პარაბოლად გადაზნექილი ხიდი დამყრუებდა ღრმა მდინარეს, რომელიც თითქმის შუაზე ჰყოფდა ქალაქს; ხიდის შუა ალაგადან მშვენიერად მოჩანდა ძველი რომი აღმინისტრაციული და საქმიანი ნაგებობანი, თავმოყრული ქალაქის მარჯვენა ნახევარში და ფცილსაფქვაი ნისქილები – მარცხენა ნახევარში. შორს გაფენილიყო პორიზონტის სწორი ზოლი, წყალს კი თავს დასტრიალებდნენ თოლიები. ხიდი ყველაზე მოხერხებულად ადგილი იყო იმითთვის, ვისაც ქალაქის თვალღირება უნდა. მართალია, ახალგაზრდებს განმარტობა ურჩევთ და ამიტომაც ირრევენდნენ სადგომებს, კინოთეატრებს ავტომობილისტთათვის ანდა განმტოებებს ძირითად მოსეძად მდინარის ჩრდილო სანაპიროს გასწვრივ, მაგრამ ლანდშაფტის სილამაზეთა ჭყრეტის მოყვარულნი ხშირად ჩერდებოდნენ ხიდზე რამდენიმე წუთით, რის შემდეგაც თავის გზას აგრძელებდნენ მეორე ნაპირზე.

ხიდი თვითმკვლელებსაც იზიდავდა. თავდაპირველად პოლიციელს ეს არც უფიქრია; ასეა თუ ისე, კაცმა მოასწროს გადმობრომა მანქანიდან და წელა დაიძრა ფეხით ქვეითთა გზისკენ ხიდის კიდებზე; მიაღწია იქამდედა ხელი ყოყმანით დააყრდნო მოაჯირს. იყო რალაც უჩვეულო ამ ვულ ფიგურაში, შუალამისას რომ გაირინდა უკაცრიელ ხიდზე, ან ეგებ შემფოთებას ინვევდა ნაცრისფერი ღამელი უბინდუნდი და ნისლი, რომელიც ეშვებოდა მდინარეზე. პოლიციელმა შეხედა უცნობს, ერთი შევიგინა და გამოთვალა, შეეძლებ თუ არა, თვითმკვლელს ხელი შეეწევალო.



ქვეითთა გზით უცნობისკენ გაემართა. ამჯობინა, რომ არც დაეყვირა და არც თავისი სასტკვენი ეხმარა – წინდო არ იყო მისი წარმოდგენა, როგორ იმოქმედებდა იმ კაცზე მოულოდნელი ხმა. რომელიღაც მომენტში მოაჯირზე დაყრდნობილი ხელები დაიძაბა და უცნობმა ფეხის წვერებზე აიწია. პოლიციელი უკვე მზად იყო ეყვირა და წინ გაჭრილიყო, მაგრამ უცნობი ისევ მოშვდა – ხელეში მოუღუნდა – სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან და მოუკიდა. პოლიციელი მიხვდა, რომ დრო თავზე საყრელად ექნებოდა. ასეთი ტიპები საბუდისურენ ნაბიჯამდეც კი ვერ ძლევბენ უსიგარეტო.



როდესაც მათ შორის ამ მეტრზე მეტი აღარ იყო დარჩენილი, უცნობი შემობრუნდა, ოდნავ შეირბა, მერე კი თავი მორჩილად ჩაქნა. ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, ტანმალა, ვერძელი და ვიწრო პირისაზე ჰქონდა, ღრმად ჩამყვადარი თვალები კი სქელ ნარბეჭებზე ჩამალულყვენ.

- მშვენიერი ღამეა, - ნარმოთქვა პოლიციელმა.
- დიხ.
- სიღამაზეთი ტკბებით?
- სწორედ ვგრევა.
- მე კი, თქვენ რომ დაგინახეთ, რატომღაც მომინდა მოვსულიყავი და დაგლაპარაკებოდი. ასეთ ღამეს ზოგჯერაც უცებ დაგატყდება თავს მარტოობის გრძნობა, - პოლიციელმა ვიბეჭებზე ხელი დაიჭაპუნა, მაგრამ სიგარეტს ვერ მიაგნა. - მომიტყევეთ, მოსაწევი ხომ არ გექნებათ? მე გამათავდა.

უცნობმა სიგარეტი მიანოდა. ფილტრიანი გამოდგა, პოლიციელს კი ჩვეულებრივი ერჩია, მაგრამ, ცხადია, არ დაუყოღლა. უცნობს მადლოდა გადაუხადა, მისი სახითებლადან მოუკიდა სიგარეტს, ხელახლა გადაუხადა მადლოდა და გვერდით ამოუდგა, ხელები დაანსო მოაჯირზე, ოდნავ გადაიხარა, შემყურებდა ქვეითი მიწავალ მდინარესაც და შორს გადაშლილ ქალაქსაც.

- ღამაზე ხედია აქედან, - შენიშნა მან.
- მართლა?
- აბა რასაკვირველია. რალაცნარიად გამოშშინებს, გამშვიდებს.

- მე ასე არ მომჩვენებია, - ჩაილაპარაკა უცნობმა. - უფრო იმას ვფიქრობდი დიხ, იმაზე, თუ როგორ უნდა მოიპოვო ისმქველად კაცმა.

- მე რომ შეიხოთ, ამისთვის ყველაზე უმჯობესია, მთელი სიცოცხლე ვირივით იმუშაო, - განაცხადა პოლიციელმა. - სულერთია, ყველაფერი ადრე თუ გვიან თავის ადგილზე ხდება. ხდება ხოლმე, რომ იდინხანს ვერ აანწყობ საქმეს, მერე კი, შენ ხარ ჩემი ბატონი, თავისით მოგვარდება.

- თქვენ მართლა გჯერათ ეს?
- აბა რა, მჯერა.
- თუნდაც მაგ სამსახურში ყოფნისას?
- თუნდაც, თუნდაც, - მიუჯო პოლიციელმა. - სასტიკი სამყაროში ვცხოვრობთ, მაგრამ განა ეს ახალია? უკეთესი არც გვიანდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. მდინარის ფსკერზე კი ნამდვილად სხვას ვერაფერს იპოვიო.

უცნობი კარგა ხანს დუმდა, მერე ძირს ისროლა სიგარეტი; იდგნენ და უცქერდნენ, თხელ, მანათობელ ზოლად რომ ჩაიქროლა სიბნელეში და მერე კი გაისმა ნაზი, შიშინა ბგერა, რომელიც წყალთან ცეცხლის შეხებისას ჩნდება.

- სრულებით არ ისმის, - ჩაფიქრებით ნარმოთქვა უცნობმა.
- ჰო.
- აი, ჩვენც ასე, უმარაველსობა, - ცოტახანს გაჩუმდა, მერე კი პოლიციელს მიბრუნდა, - მე ეფუარდ რაიტი მქვია. - პოლიციელმაც ნარდგინა თავი. - მე მგონი, ამას ვერ გაგებდავდი. დღეს მაინც ვერ გაგებდავდი.
- ანკი რატომ უნდა გამოსცადოთ ბედი, ხომ სწორია?
- კაცმა რომ თქვას, ვგრევა.

- თქვენ ხომ სწორედ ამას აპირებდით, არა? მოხედით აქ, მოაჯირს გადაეყუდეთ და ჩაფიქრდით. ყოველ ჩვენებას უნებს ხოლმე მიახლოება უკანასკნელ ზღვარამდე. სინამდვილეში ეს არაა გამოსავალი, და ბევრნი, ალბათ, ნაწონებ ვერ კიდევ მანამდე, სანამ წყალში ამოყოფენ თავს, მაგრამ უკვე გვიანია. არ შეიძლება ძალზე დიდხანს გამოსცადო ბედი, თორემ შეიძლება დაგჯახნოს. უჩიჩინებ, ალბათანებ, ის კი აიღებს და დაგამარცხებს.

- კაცმა რომ თქვას, მარათალი ბრძანდებით.
- თქვენ კი, ერთი მითხარით, რა განუხებთ?
- არა, ბატონო არაფერი განსაკუთრებით.
- ექიმს მიმართეთ?
- დროდადრო ვნახულობ.
- ხდება ხოლმე, რომ ისინი გვშველიან, - გამაზნევა პოლიციელმა. - ეგებ თითო ფინჯანი ყავა დაგველია?

იმ კაცმა პირი გააღო, რალაც რომ ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ახალ სიგარეტს მოუკიდა, კვამლის ზოლქვი გამოშუშა და თვალთ გააყოლა, ქარმა აქეთ-იქით რომ გაფანტა კვამლი.

- ყველაფერი რიგზე იქნება, - ჩაილაპარაკა მან.
- თავს ხომ არ იტყუებთ?
- შინ წავალ, გამოვიძინებ. სულ აღარ ვიცი ძილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემი ცოლი...
- ააა! - გაევიგო, თავი დაუქნია პოლიციელმა.
- მოკვდა. სხვა არავინ შეავდა და ახლა აღარც ისა შეავს.

პოლიციელმა ხელი დაადო მხარზე. - მისტერ რაიტი, ოდესმე ეს გაივლის. უზრალოდ უნდა გაუღოთ, მორჩა და გათავდა. მოთმინებთ, ადრე თუ გვიან ტკივილი დაგამაგებთა, ზოგჯერ შეიძლება გვეწონო, ამ დანაკარგს ვერ გადავიტან და ცხოვრებამ ყოველგვარი აზრი დაკარგაო.

- ნულარ გააგრძელებთ, ყველაფერი გასაგებია.
- თქვენ მართლა დარწმუნებული ხართ, რომ ფინჯანი ყავა არასურთ?
- არა, სჯობს შინ წავიდე. მამაკრით, რომ შეგანუხებთ.

შევეცდები მოვეშვა. ასეთი რამ აღარ გამიმეორდება.

პოლიციელი თვალს ადევნებდა, როგორ დაძრა მანქანა მისმა თანამოსაუბრემ და საკუთარ თავს ეკითხებოდა, მისი დაკავება ხომ არ ღირდაო. მერე დაასკნა, საქმრო არ არისო. შეიძლება ჭკუიდან შეირყე, თუკი გადაჰყვები ყველას, ვისაც თავის მოკლა მოეპრინაება - მით უმეტეს, რომ ეს კაცი მხოლოდ ფიქრობდა თანუცხველობაზე. და თუკი უთვალთვალე ყველას, ვისაც მსგავსი აზრები შეიძლება მოუფედეს თავში, კაცმა რომ თქვას, ამდენი ღონე სადა გაქვს

პოლიციელი ხიდის კიდისკენ გაემართა. თავის პოსტს რომ მიადგა, მაინც საქმროდ ჩათვალა, რამდენიმე ჩანაწერი დაეტოვებინა მოცემული შემთხვევის შესახებ, ამიტომაც ბლოკნოტი და ფანქარი ამოილო ჯიბიდან და ჩაიწერა სახელი - ეფუარდ რაიტი. და უკეთესად რომ დაემახსოვრებინა ამ კაცის ვარგებობა, დაუშტას: „სქელი ნარბეჭი, მოუკვდა ცოლი, წყალში გადახტომას აპირებდა“.

ფსიქიატრმა ხელი გადაუსვა თავის ნამახულ წვერს და ტახტზე მწოლიარე ავადმყოფს შეხედა. წვერისა და ტახტის მნიშვნელობა, როგორც არაერთხელ გათმუცხველებია



ცოლისათვის, მათი ჩვეულებრივი არსებობის ფარგლებს სცილდებოდა, პაციენტები ხედავდნენ მასში განცალკევებულ ინდივიდუუმს, მთელი საზოგადოებრივი ინსტიტუტის ერთგვარ ეჭრონიფიკაციას. ცოლს კი სძულდა ნვეერი და იმასაც ეჭვობდა, რომ ტახტის იყენებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამერიული მიზნებისათვის. თუმცა მთლად მტყუნარი არა ყოფილა, რამდენადაც ფსიქიატრი ამ სარეცელზე არაერთხელ დანყვილებია თავის ქერათმიან მდივანს. თვალები დახუჭა, მესსიერებაში აცოცხლებდა რამდენიმე ალტკინებულ ემიზონს პანას მონანილობით.

უბალიოდ მიაპყრო მზერა მორივ პაციენტს.

– სიცოცხლე აღარ მიხარია, – ჩაილაპარაკა პაციენტმა. – შეიძლება ითქვას, რომ ძალღებმა აღურა ვარსებობ.

– ყველანი დღევანდელი დღით ვცხოვრობთ, – უაღვგილოდ გამოეპასუხა ფსიქიატრი.

– მაგრამ განა ყოველთვის ნამებად უნდა გადაგექცეს ცხოვრება?

– არა.
– გუშინ საღამოს კინალამ თავი მოვიკალი. არა, გუშინწინ იყო. კინალამ ნყალში გადავბტი მორისის ხიდიდან.

- და მერე?
- პოლიციელი მომადგა. და საერთოდ არც ვაპირებდი გადახტომას.
- რატომღა?
- არ ვიცი.

ყველაფერი იყო, როგორც ყოველთვის – ისევე უსასრულოდ მიედინებოდა ექიმის საუბარი პაციენტთან. ექიმს უკვე ნასწავლი ჰქონდა მოსმენა პაციენტისა სრულიად დაუფიქრებლად; რაღაცას მაშინააღურად პასუხობდა, მოქმედებდა როგორც ყოველთვის, მაგრამ არც კი აყურადებდა იმას, რასაც ეუბნებოდნენ. „საინტერესოა, – გაიფიქრა მან. – რაზე სარგებლობა მომპექს ამ ადამიანებისათვის? ეგებ, მათ უბრალოდ სჭირდებოთ, რომ თავიანთი სათქმელი თქვან და აკლიათ მხოლოდ რაღაც ილუზია მსმენელისა. და ვაითუ ჩემი პროფესია სხვა არაფერია, თუ არ თამაში ინტელექტუალურ დროში. მღვდელი რომ ვიყო, – თავში გაუელვა ნალელანამ ფიქრმა, – დანაკარგისა თუ რწმენის მერყეობის ფაშ მემგმლო ნასვლა ეპისკოპოსთან, ფსიქიატრებს კი არა მკაყათ თავიანთი ეპისკოპოსები. ერთადერთი, რაც აკლია ამ პროფესიას, ესაა დემოკრატიული იერარქია, უკლასიკური რელიგიები კი ამგვარად ვერ ჩამოყალიბდებოდნენ“.

ამასობაში ფსიქიატრს უამბობდნენ სიზმრებს. მისი პაციენტები, თითქმის ყველანი, ტკებოდნენ თავიანთი სიზმრების გადმოცემით და ეს ერთიც კმარაოდა უსაყველო სასონარკვეთის წყაროდ ფსიქიატრისათვის, რომელსაც თავისი ერთი სიზმარიც კი ვერ გაუბსენებდა. ხდებოდა ხოლმე, რომ თავს არწმუნებდა, ყოველივე ეს საყველოთათო თვალთმაქცობა არისო და ათავითარი სიზმარი საერთოდ არ არსებობსო; და მხოლოდ ამიტომ ისმენდა აკადემიური ინტერესით ამ სიზმარს, დროდადრო შეხედავდა საათს და ოცნებობდა, რომ მალე გასულიყო ეს უკანასკნელი ორმოცდაათი წუთი.

ფსიქიატრმა იცოდა, რომ გატაცება სიზმრებით მომშობდა ცხოვრებისადმი ინტერესის თანდათანობით დაქვეითებას, სიცოცხლის დასრულების მომძღაერებულ წაადილს, რასაც ჯერჯერობით აკავებდა შში და მორალური აკრძალვანი. ანუალებდა ფიქრი, ნეტავი კიდევ რამდენ ხანს შეძლებს ჩემი პაციენტი დამლუქველი ცდუნების დათრგუნვასო. უკვე სამი კვირა იქნებოდა, რაც აქ დადიოდა და მტკივნეული პრაქციის მხოლოდ გაუღრმავებდა.

და აი, მორივი სიზმარი. ფსიქიატრმა თვალები დახუჭა, ამოიოხრა და თითქმის აღარც უსმენდა. გაიფიქრა, სულ რაღაც ხუთი წუთიად დარჩაო. გაორბეს ხუთი წუთიც, ეს ქტიონა

ბოლოს და ბოლოს წაეთრევა და ფუშფუშა ქერათმიან პანას დაიყოლიებ, გარკვეული ფიციკური ვარჯიში ერთად ჩავატაროთ. სწორედ წინა საღამოს ერთ წიგნში ისეთი რამე ნაიკითხა, რომ პირდაპირ გადაირევი კაცო.



მხატვარი ბადრი გავნიძე

ექიმმა შეხედა პაციენტს – სქელი ნარბეზით დაარდილულ ღრმად ჩამჯდარ თვალებში დანაშაულისა და შიშის გრძობა ილანდებოდა.

- ექიმო, მე მინდა, რომ უკუტი ამომირეცხოთ, – თქვა მან. – მისამართი, გვონებ, არ შემშლია თუ უმჯობესი იქნება, რომ საავადმყოფოს მიემართო?
- და რა დაგემართათ?
- აბები?
- რომელი აბები? საიმი?
- დაახ.
- სახელდობრ რომელი? და რამდენი მიიღეთ?
- პაციენტმა დაასახელა ნაწალი. ოცი აბი დავლიო.
- ათი – ეს უკვე ლეტალური დოზაა, – შემწოთდა ექიმი, – და რამდენი ხანია, რაც ეს მოხდა?



– ნახევარი საათია გასული. არა, ნაკლებიც. ოცი წუთი იქნება.

– და მერე მამხინვე მიხედით, რომ დროა სისულელეებს მოეშვათ, ხო? რამდენადაც ძალმიძს განვსაჯო, თქვენ ჯერ არ დაგიძინიათ. ოცი წუთი? კი მაგრამ ამდენ ხანს ლოდინი რა საჭირო იყო? ვერაფრით ვერ გადაგვენწყობათ მოსკლა? კაი ბატონო, ვეცდები, გიშველოთ.

თავისთავად არ უჭის ამორცხება დიდად სასამართლო პროცედურა აუცილებელია, ხოლო შემდგომი ანალიზი კუჭის შიგთავსისა – მით უმეტეს. და როგორც ექიმმა შენიშნა, დროც გვარიანად წაიღო. საბედნიეროდ, ამებს ვერ მოგხსნართ გახსნა და სისხლში მოხვედრა.

– წუ გემინიათ, ცოცხალი დარჩებით, – თქვა ექიმმა.
– გმადლობთ.
– არა ღირს მგადლობად. მე მომიწევს ვაცნობო ეს, სადაც ჯერ არს.

– არ მინდა, რომ შეწუხდეთ. მე ხომ ისედაც ვიყოფივები აღრიცხვაზე ფსიქიატრთან. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ უბედური შემთხვევა გახლდათ, მეტი არაფერი. ექიმო, თუ შეიძლება, ნუ გააკეთებთ ამას.

– ოცი აბი? – ექიმმა მხრები აიჩეხა. – აჯობებს, რომ პონორარი ახლავე გადამისაღოთ. ვერ ვიტან ანგარიშის გაგზავნას პოტენციური თვითმკვლელობისთვის. არაფერი არ შეიძლება დარწმუნებული იყო.

– ამ ფულით უკეთესს ვერაფერს იშოვით, – უთხრა ნოქარმა. – მაგრამ თუკი ფასი არ დაგაფრთხობთ, შეიძენთ იარაღს, რომელსაც გაცილებით მეტი აქვს დამიზნება და სრულს სიმორცხეც. ეს დაგიჯდებათ სულ რამდენიმე დოლარით ძვირად

– არა, ეხეც გამონადგება. და კიდევ ვაზნები მომეცით, ერთი კოლოფი.

ნოქარმა კოლოფი დახაზუ დადო.
– ეგებ ორი კოლოფი მოგართვათ?
– არა, ერთიც მეყოფა.

– თქვენი ნებაა, – თქვა ნოქარმა. – დახლს ქვემოდან გამოაძვრინა სარეგისტრაციო დავთარი და სათანადო ფურცლებზე გადაშალა. – თუ შეიძლება, ხელი მოაწერეთ აი აქ. ეს ინიტო, რომ შტატის ხელისუფლებამ მშვიდად იგრძნოს თავი.

როდესაც კლიენტმა დავთარი დაუბრუნა, ნოქარმა შეამოწმა ხელმოწერა.

– ახლა კი, მისტერ რაიტ, თქვენს საბუთებს მინდა თვალი შევავლო. საკმარისია მძლღის მონშობა. – გამოწვდილი ნიგნაკი აიღო, ხელმოწერა შეამოწმა, სარეგისტრაციო ნომერი ჩაიწერა და კმაყოფილებით დაუქნია თავი.

– გმადლობთ, – ჩაილაპარაკა კლიენტმა, ხურდა რომ მიიღო. – დიდი მადლობა.
– მადლობა თქვენც, მისტერ რაიტ, – თქვა ნოქარმა. – ვიმედოვნებ, რომ დიდებულად გამოიყენებთ ჩვენს იარაღს.

– ნყალი არ გაუფა.

იმავე საღამოს, ცხრა საათზე ედუარდ რაიტს მოესმა, რომ კარზე რეკადნენ. ხელში ჭიქით ჩავიდა ქვემოთ, დაცალა კოტეჯილი და მიუახლოვდა გასასვლელს. გარეთ

რომ გაიხედა, მყისვე იცნო მომსვლელი, წამით შეუყვამნდა და მერე გააღო კარი.

სტუმარმა რევოლვერის ლულა მიაბჯინა მასპინძელს მუცელზე.

– მარკ...
– შინ შემიბატოქე, აქ ცივა-
– მარკ, მე ვერ გამი...
– აბა ერთი!

უკვე სასტუმრო ოთახში ედუარდ რაიტმა რევოლვერის ლულას შეხედა და მიხედა, რომ სიკვდილი ეწერა.

– ედ, შენ ის მოკალი, – წარმოთქვა მარკმა. – მას შენთან გაყარა უნდა, შენ კი ამას ვერ აიტანდი, განა ახე არაა? მე ვთხოვე, ერთად მოეზორდეთ აქაურობას და ყველაფერი დაგიფრთხოთ-მეთქი, შენც დაგიფრთხობო, მაგრამ არ დამიფრთხა და შენ მოკალი ის.

– შენ ვაგივეთლებარ!
– ურიგოდ როდი მოაგვარე ეს საქმე, ხომ ასეა? უბედური შემთხვევის ინსტრუქცია მარჯვედ მოაწყვე. საინტერესოა, სინამდვილეში როგორ გააკეთე ეს ყველაფერი?

– დავარტყი მას.
– დავარტყი და მოკალი? ასე უბრალოდ?
რაიტმა ნერწყვი გადაყლაპა. ჯერ რევოლვერის შეხედა, მერე – მარკს.

